№ 15

1877—1905

№ 15

ხუთშაბათი, 3 მარტი

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 3 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაბეჭდილი წერილები რედაქციის საკუთრებად ჰრჩება; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთ თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія"

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ... სტრიქონი ... პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი**: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან. რომლის გადახდანაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**მ. ყ ჩიქოვანი**.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აფეტისიანცი**. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**პ. ა. არდაზიანი**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არშანიტაკი**. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана**. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

## ტფილისის ექიმები.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5-დან საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვ. ს. მუსხელაშვილი**—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

## რუსული წიგნები ი. გოგებაშვილისა.

1. **Государственный языкъ** въ грузинскихъ начальныхъ школахъ, პასუხად ბ. ოდოევსა. ფასი ექვსი შაური.
2. **Какъ поднять** Кавказскую народ. школу. ფასი ექვსი შაური.
3. **Къ вопросу** о мингрельской начальной школѣ. ფასი ერთი აბაზი.
4. **Правда о Тифлисѣ**, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

(1—6,—5)

## შავი ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ მას სჭირია ქუთაისის საავადმყოფოში იყოლიოს **ბებია ქალი, მცოდნე ქართულის ენისა.** მსურველთ ამ ადგილის დაჭერისა საბჭო სთხოვს მომართონ ქუთაისს, საბჭოს სახელზე.

1—6—3

## უმაღლესი რესკრიპტი.

გუშინდელ გაზეთში მკითხველი წაიკითხავდა ტელეგრაფით გადმოცემულ ხელმწიფის რესკრიპტს გრაფის ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე. ამ რესკრიპტის შინაარსი კავკასიას შეეხება და ამიტომ მას ამჟამად ყველამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და ჩვენი მდგომარეობა ცნობიერად გავითვალისწინოთ.

ეხლა გადაწყვეტილ საქმედ უნდა ჩავთვალოთ, რომ კავკასიაში დაარსდა ნამესტნიკობა და ნამესტნიკად გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა.

ამ საგანზე ჩვენ ამ რამდენისამე დღის წინადაც გვქონდა, წერილი. როგორც კი პირველად ხმა გავრცელდა, რომ კავკასიაში ისევ ნამესტნიკობა უნდა დააწესონო, ყველანი მოუსვენრობამ მოგვიცვა და არ ვიცოდით დანამდვილებით, თუ რას მოასწავებდა ეს ცვლილება ჩვენთვის, კავკასიის მკვიდრთათვის. ყველას ენაზე გვეკრა შემდეგი კითხვა: როგორი შეიქნება კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა—მონაწილედ გაგვხდიან თუ არა რუსეთში მოსალოდნელ რეფორმებისაო? სწორედ იმ დროს, როცა რუსეთში მთელი საზოგადოება დღე-დღეზე მოელის ძველ წეს-წყობილების შეცვლას და ცხოვრების განახლებას, კავკასიაში ნამესტნიკობა იქმნა დაწესებული და, რასაკვირველია, ეს გარემოება ყველას ეჭვს გვიბადავდა გულში და გვაფიქრებინებდა, რომ ჩვენ წინანდებულად ძველებურს განუკითხველობაში და ბიუროკრატიულ უღელ ქვეშ დავრჩებოდით. მდგომარეობა გამოურკვეველი იყო და ყოველ დღე ველოდით, რომ ცოტათი მაინც სინათლის შუქი მოეფინებოდა ამ მთელის კავკასიისათვის უმთავრეს საკითხს და უფრო ნათლად დავინახავდით ჩვენს მერმისს. ჩვენში ნამესტნიკობის დაწესების გამოცხადებამ სითამამე და გამბედაობა შეჰმატა ადგილობრივს ბიუროკრატიას, რომელსაც შემდეგშიაც მოელის აქ ძველებურად ბატონობასა და ცხოვრების მეთაურობას. ნამესტნიკობის გამოცხადება მას იმედს აძლევდა, რომ კავკასიის დახავსებული მართვა-გამგეობის წესი არ შეიცვლებოდა, საზოგადოება წინანდებურად დაპყრობილი იქნებოდა და მხოლოდ მას—ჩინოვნიკობას—დაურჩებოდა ბრძანებლობისა და ხალხის გამათრახების უფლება. საზოგადოების მწუხარებას ისინი ღიმილით შესცქეროდნენ და უზრუნველ მერმისის იმედით მათრახიან დარაჯებს ამრავლებდნენ...

მაგრამ მათს იმედს და მომავალ პოლიტიკურ ცხოვრების გამოურკვევლობას ბოლო მოუღო ხელმწიფის გუშინდელმა რესკრიპტმა. ხელმწიფე აცხადებს სურვილს, რომ **კავკასია „თანამოზიარე უნდა იყოს საშინაო შემომქმედ შრომაში, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში დაწყებულ უნდა იქმნეს ჩემს განზრახულებათა ალსასრულებლადო"**. ეს სიტყვები იმას მოასწავებს, რომ უმაღლესი მთავრობა არ სცნობს შესაძლებლად, რომ კავკასიაზე არ გავრცელდეს ის რეფორმები, რომლებიც შიდა-რუსეთში იქმნება შემოღებული. რესკრიპტში აღნიშნულია, რომ კავკასიაში ხალხის მღელვარება და მოძრაობაა. ეს გარემოება ცხადად უჩვენებს მთავრობას, რომ ხალხი აღარ ნებდება და აღარ ემორჩილება წინანდელს კანონებს, რომელიც შეცვლილ ცხოვრებას არ შეეფერება, და თხოულობს თავის გემოზე ახალ შესაფერ კანონთა შექმნას და ცხოვრებაში თავისუფლების პრინციპების დამყარებას. უმაღლეს რესკრიპტში—თუმცა პირდაპირ არა—აღიარებულია, რომ აწინდელი წესი მართვა-გამგეობისა კავკასიის და, მაშასადამე, კერძოდ საქართველოსაც ვერ აკმაყოფილებს და რომ ეს „განაპირა მხარე" რეფორმებისა და განახლებულ, პოლიტიკურ ცხოვრებისათვის გათვითცნობიერებული და მომზადებულია.

ესაა აზრი უმაღლეს რესკრიპტისა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენი საზოგადოების მშიშარა ნაწილმა. დღეის იქით ველარავინ გაიმართლებს თავს ჩვენში, რომ გვეშინია, თორემ ბევრ რამეს ვიტყოდითო. ხელმწიფე აცხადებს, რომ რეფორმები კავკასიისათვის საჭიროა. ხოლო ყოველი რეფორმა და გაუმჯობესებული ცვლილება ცხოვრების მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. აქედან ლოღიკურად გამოდის ის დასკვნა, რომ ხალხს, საზოგადოებას დღეიდან უფლება ეძლევა ცხადად და დაუფარავად გამოსთქვას თავისი საჭიროება და მოთხოვნილებები, რათა ცვლილების შემოღების დროის მოთხოვნილებებთან შეთანხმებულად შემუშავდეს ჩვენთვის ხსენებული რეფორმები...

მაშ საჭიროა ეხლა, რაც შეიძლება მალე, გამოვათქმევინოთ ქართველ ხალხს, მთავრობასთან წარსადგენად, სხვადასხვა მრავალ რიცხოვან კრებებზე თუ სხვა გზით, თავისი ძირითადი მოთხოვნა, რომლის დაუკმაყოფილებლად იგი ვერ დამშვიდდება და ვერც „ნამესტნიკობასა" და სხვაგვარს მმართველობის ფორმას ვერ შეურიგდება...

## გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

უმაღლესის რესკრიპტით კავკასიის „ნამესტნიკად" (ხელმწიფის მოადგილედ) ახლად დანიშნული გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიისათვის და ნამეტნავად საქართველოსათვის უცხო არ არის. გრაფი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა აფიცერი გამწესებულ იყო კავკასიის ლაშქარში და მას შემდეგ არა ერთხელ ჩამოსულა საქართველოში ხან საქმის გამო და ხან სტუმრად.

გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი წარმომადგენელია ძველისა და ცნობილის რუსის გვარისა. იგი დაიბადა 27 მაისს 1837 წელს და, მაშასადამე, გრაფი ეხლა 68 წლის კაცია.

თვრამეტი წლისა იგი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა, ეგ იყო სწორედ ყირიმის ომის შემდეგ, მაგრამ ერთის წლის შემდეგ, ე. ი. 1856 წელს იგი ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში და 1858 წელს აფიცრის პირველი ჩინი მიიღო—კორნეტობა.

თავადი ბარიატინსკის „ნამესტნიკობის" დროს ვორონცოვ-დაშკოვი თავის ნებით ჩაირიცხა კავკასიის მოქმედე ჯარში და 1859 წელს თავი გამოიჩინა ლეკებთან ბრძოლაში. 1863 წელს გრაფს ებოძა ფლიგელ-ადიუტანტობა, ხოლო ორის წლის შემდეგ იგი გამწესებულ იქმნა თურქესტანის მხარეს, და პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. მურზა-არბათის ურათუბესა და ჯიზაკის ციხეების აღების დროს თავი ისახელა, როგორც მამაცმა მხედარმა და რაზმის უფროსმა.

1866 წელს გრაფმა ღენერლის ჩინი მიიღო და იმავე დროს დაინიშნა თურქესტანის მხრის გუბერნატორის თანაშემწედ. ერთის წლის შემდეგ გრაფი გადაიყვანეს პეტერბურგში და ჩააბარეს მისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის პოლკის უფროსობა. 1873 წელს იგი დაინიშნა საკავალერიო დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსად, ხოლო შემდეგ წელიწადში დაინაშნა იმავე გვარდიის კორპუსის შტაბის უფროსად. იმ ხანებში ამ კორპუსს განაგებდა ხელმწიფე ალექსანდრე მესამე—მაშინ ტახტის მემკვიდრე. სწორედ ამ ხანებში დაიახლოვა მეფემ გრაფი და მას შემდეგ, სიკვდილამდე, არ მოუშორებია.

1875 წელს გრაფს ებოძა გენერალ-ადიუტანტობა, 1876 წელს მიეცა ღენერალ-ლეიტენანტის ჩინი. რუს-ოსმალოს ომის დროს გრაფი ვორონცოვი-დაშკოვი რუშჩუკის ლაშქრის კავალერიას უფროსობდა და დავალებული ჰქონდა რუსის ქვეითა ჯარი დაეფარა ოსმალების თავდასხმისაგან. ამ ხანებში გრაფმა თავის რაზმით დაამარცხა აზის-ფაშის ლაშქარი. ცოტა ხნის შემდეგ გრაფი ომის ველიდან გაგზავნილ იქმნა პეტერბურგში, სადაც გვარდიის კორპუსის მობილიზაცია უნდა მოეხდინა—საომრად მოემზადებინა. მართლაც, გრაფმა მალე შეასრულა ხელმწიფის ბრძანება და თავის გვარდია პლევნის ზღუდემდე მიიყვანა, მაგრამ ამ დროს ავად გახდა და იძულებული შეიქმნა ომზე ხელი აეღო და საზღვარ გარედ საექიმოდ წასულიყო.

ომის შემდეგ გრაფი ვორონცოვი დაინიშნა მეორე გვარდიის დივიზიის უფროსად. ალექსანდრე III ტახტზე რომ ავიდა, გრაფი დაინიშნა სახელმწიფო ცხენთა მოშენების უწყების უფროსად, ხოლო 1881 წლის 17 აგვისტოს, მას მისცეს საიმპერატორო სასახლის მინისტრობა. ამავე დროს იგი იყო საუფლისწულო უწყებათა და რუსეთის ორდენთა კაპიტულის გამგებელი.

ამ ახალს თანამდებობაზე გრაფი მუყაითად ემსახურებოდა ხელმწიფეს. მან თითქმის ძირიანად შესცვალა საუფლისწულო პოლიტიკა და ათი—თორმეტის წლის განმავლობაში ამ უწყებამ დიდძალი მამულები შეიძინა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში და აგრეთვე ყირიმსა, კასპიის მხარესა და კავკასიაში.

გრაფი ილარიონ ივანეს ძე არც მწერლობაშია უცნობი. ცნობილ კრებულში—„Письма о современной Россіи", რომლის შედგენას გენ. ფადეევს აკუთნებენ, სხვათა შორის, მოთავსებულია გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წერილი (თუმცა ავტორის სახელი არ აწერია), რომელიც გლეხკაცობის საკითხს შეეხება.

გრაფი ათი წელიწადია რაც საიმპერატორო სასახლის სამინისტროს თანამდებობას მოშორდა და დღემდის სახელმწიფო საბჭოს უახლოვეს წევრად ითვლებოდა.

## დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

1 მარტი.

**ვოლოგდა**, 1 მარტი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწეს დატიმეებს წარუდგა მოსწავლეთა მშობლების დეპუტაცია.

**სტამბოლი**, 1 მარტი. სულთნის ადიუტანტები: დივიზიონის გენერალი ახმეტ-მეჯიდი, ბრიგადის გენერალი რიზა-ფაშა და კამერგერი არიფ-ბეი პოლიტიკურის მიზეზით არ გაქცეულან. პოლიცია გულმოდგინედ დაეძებს გაქცეულებს, რომელნიც ახლა, ალბად, სამშვიდობოს უნდა იყვნენ გასული. ეგვიპტეში ბულგარელთა რამდენიმე ჯგუფთი აჯანყდა და ოსმალეთის საზღვრებისაკენ გამოემართა. თითბირი აქვთ ამ გაზაფხულზე ოსმალეთს რანაირად დაეცნენ. ავრცელებენ პროკლამაციებს იმის შესახებ, რომ ბულგარეთი რეფორმებმა ვერ დააკმაყოფილაო, თვით სტამბოლშიაც კი იმოქმედებენ, რომ დიდი სახელმწიფონი შეიარაღდნენ და საქმეში ჩაერივნენ. მონასტირის მახლობლად ამოსწყვიტეს 8 კაცისაგან შემდგარი ბულგარელთა ჯგუფი. მცხოვრებლები სჩივიან, ბაშიბუზუკები და ოსმალი ჯარის კაცები გვძარცვავენ და გვაწიოკებენო.

**ლონდონი**, 1 მარტი. ამას წინად ბუშავერის ოლქში გამართულ აღლუმის დროს ავღანელებმა ინგლისის ჯარებს სროლა აუტეხეს. გამოძიება სწარმოებს.

**პარიზი**, 1 მარტი. (ჰავასი). დღეს მინისტრთა საბჭოში დელკასემ განაცხადა, ესპანიის მეფე პარიზს მოვა 17 მარტს ნაშუადღევს, ხოლო 22 მარტს დამით წავაო.

**სევასტოპოლი**, 1, მარტი. ზღვაში სავარჯიშოდ გავიდა შავის ზღვის ფლოტის რაზმი კონტრ-ადმირალის პისარევსკის უფროსობით.

**გლაზოვეჩენსკი**, 1 მარტი. დაიწყო ოქროს მრეწველთა კრების სხდომა. უნდა განიხილონ სულ 13 საგანი. უმთავრესი საგნები შეეხება მუშათა დაქირავებას, დაზღვევას, სამკურნალო დახმარებას, კასის დაარსებას, მადნების კვლევა-ძიებასა და თვით მუშებს.

**მინსკი**, 1 მარტი. ის კაცი, რომელმაც პოლიცმეისტერს რევოლვერი ესროლა, პოლიციამ დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ვინმე გერმანი, 20 წლისა.

**ბალტა**, 1 მარტი. გუბერნატორმა არ შეიწყნარა ადგილობრივ ებრაელთა საზოგადოების შუამდგომლობა. ებრაელები შუამდგომლობდნენ, თავიანთის ფულიდან გადადებულიყო 20,000 მანათი ომის საჭიროებისათვის.

**ლონდონი**, 28 თებ. საზოგადოებათა პალატა. სერ სეიმურ კინგის შეკითხვის საპასუხოდ ლორდმა ბალფურმა განაცხადა: ბრიტანიის მთავრობის მიერ ჰულში დანიშნულმა კომისიამ დაადგინა,—მეთევზეებისათვის ჯილდოდ მოითხოვეს 103,830 გირვანქა სტერლინგი, ხოლო ნამდვილ კანონიერ მოთხოვნილებად უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ 60,023 გირვ. სტერლინგით. რუსეთის მთავრობამ უკვე გადაიხადა 65,000 გირვ. სტერლინგი (სტერლინგი ღირს 10 მანათს). განსხვავება, დაახლოვებით, 5,000 გირ. სტერლინგი, რომელიც დიდ-ბრიტანიის მთავრობამ იმ აზრით დაიჭირა ხელში, რომ, თუ ვინიცობაა კიდევ რაიმე მოულოდნელი საზღაური მოითხოვეს, ამ ფულით დააკმაყოფილოს მთხოვნელით. ეს გარემოება რუსეთის მთავრობას ეცნობა კიდეც.

**სოფია**, 28 თებ. მაკედონიიდან ისევ საშიში ცნობები მოდის. ოსმალ ჯარებსა და ბულგარელ ჯგუფთა შორის თვალსაჩინო შეტაკება მოხდა. კუმანოვოს მაზრაში, სოფ. პეცევოში, ოსმალეთის ჯარებმა ამოსწყვიტეს მეამბოხეთა ჯგუფი, რომელიც 12 კაცისაგან შესდგებოდა. როგორც ავსტრიის ჟანდარმთა აფიცრის მოხსენებიდანა სჩანს, დახოცილთა უგვლა გვამი ოსმალებს საშინლად დაუსახიჩრებიათ.

2 მარტი.

**პეტერბურგი**. 1 მარტს მინისტრთა კომიტეტმა დაამთავრა 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლეს ბრძანების მე-6 მუხლის განხილვა სხვა სარწმუნოებათა თავისუფლების შესახებ. კომიტეტი იმ დასკვნას დაადგა, რომ გადაისინჯოს არა ქრისტიანეთა სარწმუნოებისა და იმათ სამღვდელო სახლთა აგების შესახებ აწ არსებული დებულება, აგრეთვე გადაისინჯოს დებულება უცხო სარწმუნოების აღმსარებელთა სამღვდელოების შესახებ, განსაკუთრებით მაჰმადიანთა. განიხილეს აგრეთვე, რა წესით უნდა აირჩიონ და დაამტკიცონ მოლები, როგორ დაარსდეს მაჰმადიანთა სკოლები, რა წეს-რიგით უნდა განაგონ ურჯულოთა სასულიერო საქმეები და მუსულმანთა საზოგადოებანი ჩრდილოეთ კავკასიას, თურქესტანს და იმიერკასპიის მხარეში. კომიტეტის აზრით, უველა ზემოხსენებული დაწესებულება უნდა ჩამოერთვას საგუბერნიო ადმინისტრაციებს და გადაეცეს სასულიერო მმართველობას, ისე კი, რომ ადმინისტრაციამაც თვალყური ადევნოს მისს მოქმედებას. შემდეგ გადავიდნენ ლამაიტის სარწმუნოების საკითხზე. მინისტრთა კომიტეტმა აუცილებელ საჭიროებად სცნო, ლამაიტის შესახებ აწ-არსებული დებულება სავსებით და დაწვრილებით გადაისინჯოს ლამაიტის სამღვდელოების წარმომადგენელთა და ლამაიზმის საერთო საქმის კარგად მცოდნეთა თანადასწრებით.

**ბერლინი**. საბიუჯეტო კომისიამ მეორედ წაკითხვის შემდეგ შეიწყნარა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა და მოიწონა აგრეთვე პროექტი კავალერიის გაძლიერებისა და 26 ახალ ესკადრონთა მომატების შესახებ, თუმცა თავდაპირველად გაიძახოდნენ,—განზე გვეყარეთ მაგ საგანსაო. რეიხსტაგის მიერ კანონპროექტის დამტკიცება მაინც უზრუნველ-ყოფილია.

**კოსტრომა**, 1 მარტი. დაჭრილთა სასარგებლოდ გლეხები შეწირულებას უფრო გულიანად იხდიან. გუბერნიის ერობის გამგეობას მოუვიდა ერთ ვოლოსტიდან მანჯურიაში გაგზავნილ ქსენოსისთვის 1000 არშინზე მეტი ტილო, ბევრი თეთრეული და ორ ფუთამდე გამხმარი სოკო.

**ეკატერინბურგი**, 1 მარტი. ციმბირის ვაჭრებმა კვლავ გაგზავნეს შუამდგომლობა რკინის გზის გაყვანაზე, არა ეკატერინბურგ-კურგანამდე, არამედ ტიუმენ-ომსკის შორის.

**ხარკოვი**, 1 მარტი. მთელ ღამეს სუმსკის ქუჩაზე მაღაზიები იწვოდა, ზარალი ერთ მილიონამდეა. ჰფიქრობენ ცეცხლი განგებ წაუკიდებიათ. 9 კაცი მძიმედ დაშავდა.

**მინსკი**, 1 მარტი. დაჭრილი გერმანი გამოტყდა, რომ პოლიცმეისტერის გოფფენბერგის მოკვლა უნდოდა. არ იციან, რა აზრით განიზრახა მან მკვლელობის ჩადენა.

**ვილნო**, 1 მარტი. გაზეთების გამოსვლა კვლავ დაიწყო.

**ადესსა**, 1 მარტს. ყველა სტამბაში შემოღებულ იქმნა ათი საათის მუშაობა.

**ანდიჟანი**, 1 მარტი. აქ 3 საათს 30 წ. მიწის ძვრა იყო.

**კიშინევი**, 1 მარტი. ბენდერის საბჭო შუამდგომლობს გიმნაზიის ბენდერში დაარსების შესახებ.

**ყაზანი**, 1 მარტი. 43 ხმოსნის ნაცვლად არჩეულ იქმნა მხოლოდ 4. ხმოსნების სურვილი—განზის ურას ყველა ამომრჩეველი მიუშვითო, ქალაქის თავმა უარჰყო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**, 1 მარტი. მეორედ მომხდარ კრებაზე ქალაქის თავად შმოტრსკი აირჩიეს.

## რუსეთ-იაპონიის ომი

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

(რუსეთის და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

**2 მარტი.**

**ვენა**, 1 მარტი. ჟურნალ-გაზეთობა მუკდენის ბრძოლაზე ამბობს, რომ არც ისე დიდი წაგებაა რუსებისთვის ყველა ამბებს თავი რომ მოვუყაროთო.

**პარიზი**, 1 მარტი. საზოგადოებას ახლა ის აფიქრებს, მოასწრობს კუროპატკინი ტელინში გამაგრებას, თუ იძულებული შეიქმნება ჩრდილოეთისკენ დაიწიოს. კლემანსო დაჟინებით ურჩევს საფრანგეთს, საქმეში ჩაერიოს და ომის შეწყვეტას შეეცადოს, რადგან ამას მოითხოვს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ინტერესიო. შანჰაელი კორესპონდენტი გაზ. „ეკლერ"-ისა იუწყება, თუ რა სწრაფად ვითარდება ჩინეთში იაპონელების რკინის გზის საქმე.

**ლონდონი**, 1 მარტი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოდან მიღებული დეპეშა: «მინძინისაკენ იაპონელებმა 26 თებერვალს დაიჭირეს ინპანი, ფუშუნიდან 18 მილზე და განდევნეს რუსები. შახესკენ იაპონელები რუსებს სხვადასხვა მხრით აწვებიან».

**ლონდონი**, 28 თებ. იაპონიის აქაურმა საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური ცნობა: «როგორც ისმის, რუსეთის მთავრობამ ხელახლა შეატყობინა დიდ სახელმწიფოთ, რომ იაპონელთა ჯარებმა ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიეს და რუსის ლაშქარს უკან მოექცნენ პეჩილიის პროვინციაში, ხოლო იქ კი ისე ვერ გაჩნდებოდნენ, თუ მონგოლიის გზა არ გადმოეჭრათო. ნამდვილად კი იაპონიის ჯარებს არაოდეს არ გაუვლიათ მონგოლიაზე, ხოლო რუსეთს კი დიდი ხანია მონგოლიიდან მოსდიოდა სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე და თვით მონგოლიაში მუდამ ქამს ჰგზავნიდა სხვა ტანისამოსში გამოწყობილ კაცებსა და შეიარაღებულ ჯარს; რუსეთი აშინებდა ადგილობრივ მთავრებსა და მცხოვრებთ და აიძულებდა მათ, რომ ძალაუნებურად რუსთა უკანა ჯარს მოჰხმარებოდნენ». შემდეგ მოყვანილია 6 მუხლი რუსეთისაგან ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევისა. რუსთა რაზმები თურმე მონგოლიაში სხვადასხვა გზებით დათარეშობდნენ, ადგილობრივ მკვიდრთ ძალით ართმევდნენ სურსათ-სანოვაგეს და რამდენჯერმე შეეცადნენ, რომ მონგოლიის გზით გადმოეტანათ ზარბაზნები, მაგრამ ჩინეთის მოხელეებმა დაიჭირეს კალგანში.

**ტელინი**, 1 მარტი. (საკ. კორესპ.). მუკდენთან ბრძოლის დროს საუცხოვოდ მოქმედებდა კავალერია გენერალ რენენკამფის უფროსობით. ჩინელები ახლა გულცივად და ალმაცერად გვიყურებენ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ბრძოლა მუკდენთან.** ბრძოლის ველიდან ახალი არა მოსულა რა. ლონდონიდან იუწყებიან: იაპონიიდან დეპეშებმა დაიგვიანეს და ამიტომ აქაურ გაზეთებში ომის შესახებ აღარაფერია დაბეჭდილიო.

ტოკიოდან იუწყებიან: მარტო გენ. კუროკიმ ცინხენჩენის ბრძოლის შემდეგ ხელთ-იგდო 2,200 თოფი, 6 ზარბაზანი 320,000 პატრონა 450 ვაგონი, 10 ურემი ტანისამოსით დატვირთული, ურიცხვი ქერი ,პური და იმდენი მასალა, რომ ამით 34 მილის მანძილზე რკინის გზის გაკეთება შეიძლებაო. გარდა ამისა რუსებმა ბრძოლის ველზე 1,200 მოკლული დასტოვეს. იაპონელებმა ამ ალაგას 800 რუსი დაატყვევეს.

26 თებერვალს გენ. კუროკის ინპანი აულია (ფუშუნის აღმოსავლეთია) და ამ გზით ტელინისაკენ წასულა.

კუროპატკინი ტელინიდან იუწყება, 28 თებერვალს უკანა ჯარისაგან არავითარი მოხსენება არ მომივიდაო.

25 თებერვალს გენ. ბარონი მეიენდორფი (კორპუსის უფროსია) ცხენიდან გადმოვარდნილა და მხარი მოუტეხნია (რ.).

„რუს"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ბრძოლა მუკდენთან თანდათან ცხარდება (რუსეთიდან ჯერ არ მოსულა ის გაზეთები, სადაც მუკდენის ბრძოლის დასასრულია აწერილი). თანდათან ახლოვდება ის დრო, როცა ერთ-ერთი მოპირდაპირე უნდა დაიღალოს, მოიქანცოს და დამარცხდეს. ვინ დაიღლება პირველად, რუსები თუ იაპონელები? რადგან იაპონელებს განუწყვეტლივ მოაქვთ რუსებზე იერიში და რუსები კი მხოლოდ თავს იცავენ, ამიტომ ცხადია, რომ პირველად იაპონელები უნდა მოიქანცნენ. ეს რუსებს იმედს აძლევს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრი არაფერი იმედია: იაპონელებს არც დაღლილობა ეტყობათ და არც მოქანცობა. პირიქით, კუროპატკინი ისეთ ამბებს გვატყობინებს იაპონელების შესახებ, რომ ისტორიაში ამგვარი არაფერი მოიძებნება. კუროპატკინი იუწყებოდა: იაპონლები ზოგჯერ ზურგს შემოგვაქცევენ ხოლმე, ჰაერში ისვრიან და თანდათან გვიახლოვდებიან. ამით იაპონელებს უნდათ, რომ უკან ჩამორჩენილი ამხანაგები გაამხნევონ და მოატყუონ, ვითომ თვითონ რუსები არიან და უკან იხევენო. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მამაცი ხალხი უნდა იყვეს რუსებისკენ უკან-უკან მომავალი იაპონიის ჯარი. ამათ არც შიში და არც აღელვება სცოდნიათ. რაინდები, ნამდვილი რაინდები იარიან. დიახ, ჩვენ შეგვიძლიან ამაყად დავიკვეხოთ, რომ იაპონიისთანა ჯარს ჯერ არც ერთი ევროპიელი ჯარი არ შეხვდია (რ).

**იაპონელთა მეხუთე ლაშქარი.** ამას წინად ხმა გავრცელდა, იაპონელებმა მეხუთე ლაშქარი შეადგინეს და საცაა ან მანჯურიაში გადმოიყვანენ, ან ვლადივოსტოკთან. მერე ამბავი მოვიდა, იაპონელთა რამდენიმე პოლკი პოსიეტის ყურესთან (ვლადივოსტოკის სამხრეთით) გადავიდაო. ეს ხმა მართალი გამოდგა, მხოლოდ დანამდვილებით ეხლაც არავინ იცის, რამდენ კაცისგან შესდგებოდა ეს რაზმი და საით წავიდა. ამის შესახებ „მორნინგ პოსტ"-ს შანჰაიდან ატყობინებენ: იაპონიამ შეადგინა ახალი, მეხუთე ლაშქარი, რომელიც 140000 კაცისგან (8 დივიზია) შესდგება. აქედან სამი დივიზია ჩრდილოეთ კორეაში გადავიდა. დანარჩენი არავინ იცის საით წავიდა (ნ.).

**რამდენი კაცი იბრძოდა მუკდენთან.** იაპონელები იუწყებიან, მუკდენის ბრძოლაში ორივე მხრიდან 850.000 კაცი იბრძოდაო. „რუს. ვედ"-ის ანგარიშით ეხლა რუსეთიდან შორეულ აღმოსავლეთში 72,000 კაცი მიდის. ეს ჯარი მანჯურიაში მარტში ჩავა და მაშინ კუროპატკინს 547,000 მებრძოლი ეყოლებაო. მაშასადამე, ეხლა მუკდენის ბრძოლის დროს, კუროპატკინს 475,000 კაცი ჰყოლია. დანარჩენი (850,000—475,000) ჯარი—375,000 კაცი მარშალს ოიამას ეკუთვნის. მაშასადამე გენ. კუროპატკინს მუკდენთან მარშალ ოიამაზე 100,000 კაცით მეტი ჰყოლია (რ.).

**რუსეთ-იაპონიის ომი და აზია.** „რუს. სლ."-ტაშკენტიდან ატყობინებენ: შუა აზიელები იაპონიის პოლიტიკურმა გამარჯვებამ და კულტურულმა განვითარებამ ძალიან გაიტაცა ამ გვარი გატაცება წინადაც არსებობდა, მაგრამ იგი მხოლოდ მოწინავე კლასთა საკუთრება იყო, ეხლა კი მთელ შუა აზიასა და ჩრდილოეთ ინდოეთს მოედო. ამას წინად ჩრდილოეთ ინდოეთიდან რამდენიმე ინდოელი წავიდა იაპონიაში, მისი კულტურა, მეცნიერება და სახელმწიფო წესწყობილება შეისწავლეს, მერე შინ დაბრუნდენ, გაზეთების გამოცემას შეუდგნენ და ისეთი აგიტაცია გამართეს იაპონიის სასარგებლოდ, რომ მთელი ჩრდილო ინდოეთი ფეხზე წამოაყენეს. ახალგაზდობამ გაზეთების გამოცემის გარდა რამდენიმე სკოლაც გახსნა და ისეთის გულმოდგინეობითა და მხნეობით მუშაობს, რომ სკოლებს ხალხი ბუზივით ეხვევა. შუა აზიელები რუსების დამარცხებით ისე კვეხულობენ, თითქო პორტ-არტურისა, ლიაოიანისა, შახესი და მუკდენის გამარჯვება იმათ ეკუთვნით და არა იაპონელებს (რ. ს.)

**აზია აზიელთათვის.** ინდიური გაზეთი „კრეზო" სწერს: ასი წლის წინად მონროემ განაცხადა, ამერიკა ამერიკელთათვისაო. ეხლა ჩვენც ვაცხადებთ: აზია აზიელთათვის. 1904 წელს, 26 იანვარს, პორტ-არტურში იაპონელების მიერ ნასროლი ნაღმი მთელ აზიას მოხვდა და ძილი დაუფრთხო. აზიამ წამოიხედა, თვალები მოიფშვნიტა და მას შემდეგ აზიელისა და ევროპიელის ბრძოლას გაფაციცებით ადევნებს თვალყურს. აზიას მეორედ მოსვლა ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც იაპონიის გამბედაობა. იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადა! იაპონია გაუმკლავდა იმ რუსეთს, რომელიც აზიას თანდათან აწვებოდა, წიწკნიდა და, ადრე თუ გვიან, ჩაყლაპვას ემუქრებოდა. იაპონიამ დაამტკიცა, რომ რუსეთი მხოლოდ იმ სახელმწიფოსთვის იყო და არის საშიში, რომელიც რუსეთისავით თიხის ფეხებზე სდგას, განათლებას სდევნის და მხოლოდ სიმრავლისა და ღვთის იმედი აქვს. თამამად ვიტყვით, რომ იაპონიის ყოველი გამარჯვება აზიის გამარჯვება იყო, იაპონელთა სიხარული აზიელთა სიხარულია, იაპონელთა იმედი აზიელთა იმედია, მაგრამ ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მარტოოდენ ჩვენი სიხარული და მომავლის იმედი აზიის მომავალს ვერ შექმნის. ყოველმა აზიელმა თავის თავს უნდა ჰკითხოს: როგორ და რისგან მოხდა, რომ პაწაწინა იაპონიამ უზარმაზარი რუსეთი დაამარცხა. პასუხი მხოლოდ ერთია: მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ე. ი. განათლებამ გაუნათლებლობას აჯობა და აზიის მომავალიც მხოლოდ და მხოლოდ ამ იმედზედ უნდა იყოს დამყარებული. ყველა აზიელი, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, მდიდარი თუ ღარიბი ამ რწმენით უნდა გაიჟღინთოს, თავის ერის მომავალი განათლების ძალაზე უნდა დაამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იფიქროს პოლიტიკურ თავისუფლებაზე. ეხლა შეუძლებელია, რომ აზიის განათლება პოლიტიკურ თავისუფლებაზე იყოს დამყარებული. შეუძლებელია იმიტომ, რომ პოლიტიკურ თავისუფლებას შექმნა მხოლოდ ცივილიზაციას შეუძლიან. გაიხსენეთ ჩინეთის ბედი ამ ხუთი წლის წინად და დარწმუნდებით, რომ ევროპა აზიას პოლიტიკურ თავისუფლებას ნებით არ დაუთმობს. ევროპას აზია თავის საკუთრებად მიაჩნია და ამ საკუთრებაზე უარს არასდროს არ იტყვის. ევროპამ აზია დაიპყრო და ზედ წურბელასავით მიეწება. ევროპა ამბობს, აზიის განათლება მინდაო და აზიის გასანათლებლად აქაურობა მისიონერებით აავსო; ევროპამ აზიის გასანათლებლად აზიას თავის საქონელი მოახვია კისერზე, ადგილობრივ ვაჭრობ-მრეწველობის განვითარებას სულს უხშობს, სამუშაო ხელს გროშის ფასად შოულობს, ერთი სიტყვით მთელი აზია მეწველ ფურად გადააქცია და თავის წმინდა ეგოისტურსა და აგრესიულ პოლიტიკას განათლების დროშით იცავს. ევროპამ აზია განათლებით დაიპყრო და აზიასაც თავის დახსნა მხოლოდ ამ იარაღითვე შეუძლიან. აზიამ ევროპის ბატონობას თავი უნდა დააღწიოს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ევროპას სამაგიერო გადაუხადოს და აიკლოს, არა, მხოლოდ იმისთვის, რომ მოიპოვოს ის, რაც იმის საკუთრებას შეადგენს; მოიპოვოს თავისუფალ ცხოვრებისა და განვითარების უფლება. აზია იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც აზიაში ცხოვრობს, მუშაობს და ამ შრომის ნაყოფიც მასვე უნდა ეკუთვნოდეს. ინდოეთი ინდოელებისა უნდა იყვეს, ჩინეთი—ჩინელებისა, ავღანისტანი ავღანელებისა, არაბეთი—არაბებისა, სიამი—სიამელებისა, კავკასია—კავკასიელებისა, სპარსეთი—სპარსელებისა და სხ. ყოველი აზიელი მხოლოდ მაშინ მიაღწევს ამ საწადელს, როცა ისეთივე იარაღით შეიარაღდება, როგორითაც იაპონელი შეიარაღდა: განათლებით, განათლებით და მხოლოდ განათლებით. საზოგადოდ რუსეთ-იაპონიის ომმა და კერძოდ იაპონიის განათლებამ ეს რწმენა ყოველ აზიელში იმდენად განამტკიცა, რომ ჩვენ მიერ გამოთქმულმა აზრმა აზიელების დამოუკიდებლობის შესახებ ამ ერთ წელიწადში უფრო დიდი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე ეგონა ვისმეს. ამ ერთმა წელიწადმა აზიელთა თვითცნობიერება და თვითშემეცნება ასის წლით წასწია წინ. რუსეთი ლიაოიანსა და პორტ-არტურს გლოვობს, მაგრამ რა არის პორტ-არტური და ლიაოიანი აზიელთათვის? ყველაფერი და არაფერი. პორტ-არტურის აღებით იაპონელებმა თავიანთი გამარჯვება დაიახლოვეს, საზოგადოდ აზიელებს კი პორტ-არტურის აღებამ ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინა წინ, რომ ამ ნაბიჯის დაფასება და იმის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ისტორიას შეუძლიან. იაპონელებმა ლიაონის გამარჯვებით ტაიძიხესა და შახეს შუა მდებარე ადგილი მოიგეს, ჩვენ, აზიელებმა კი ათი და ოცი წელიწადი მოვიგეთ. ასევე იქნება შემდეგშიაც. მოახლოვებულია ის დრო, როცა ყოველი აზიელი განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა შეიგნებს, რომ განათლება უდიდესი და უნაყოფიერესი იარაღია ერთა შორის მშვიდობიან ბრძოლის ველზე. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული მხოლოდ ის ერი გამოვა, რომელიც განათლებით უკედ იქნება შეიარაღებული და ამიტომ ჩვენც, აზიელებმა მთელი ჩვენი ძალ-ღონე მხოლოდ იმას უნდა მოვანდომოთ, რომ რაც შეიძლება ფართოდ მოვეფინოთ განათლების სხივი მთელს აზიაში: ჩინეთიდან კავკასიამდე და თურქესტანიდან არაბეთ-ინდოეთამდე (მ. ბ.).

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი, 1 მარტს. დღეს გაიხსნა მეხუთე კლასი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა. სწავლა ხვალ დაიწყება.**

## ახალი ამბავი

— ბელგიის უსახელო საზოგადოებამა და ელექტრონის **ფუნიკულერის სააქციონერო საზოგადოებამ იშუამდგომლეს** მთავრობის წინაშე, რომ ნება დართონ, ფუნიკულერის ზევითა სადგურიდან დაბა **კოჯრამდე ელექტრონის რკინის გზა გაიყვანონ.**

— ტფილისის **ვაჭრობისა** და **აღებ-მიცემობის** კომიტეტს განუზრახავს გამოსცეს **ყოველთვიური ჟურნალი**, რომელშიაც კავკასიაში აღებ-მიცემის შესახები ცნობები დაიბეჭდება. კომიტეტს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

— შაბათს, 5 მარტს, საღამოს 8 საათზე სხვადასხვა კითხვების გასარჩევად **დანიშნულია სხდომა** კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა.

— ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა **გეგმა ნავთლუღის ცხენის რკინის გზისა** და სთხოვა, მალე დაამტკიცეთ, რადგან ეხლავე უნდა შევუდგეთ გზის გაყვანასაო.

— ქუჩების საუკეთესო **მომკირწყვლელმა კომისიამ გუშინ სხდომაზე გარდასწყვიტა**, ნავთლუღში პრიბილევის ქუჩა რიყის ქვით მოკირწყლოს და, სხვათა შორის, დაადგინა, რადგანაც საზღვარ-გარეთიდან ასფალტის ფილაქნის გამოწერა ძვირად ჯდება, ფილაქანი ქალაქმა აქვე გააკეთებინოსო. ამ საკითხის შემუშავება მიენდო ინჟენერ ა. ი. ფლორენსკის.

— უსახელო საზოგადოებამ ქალაქის გამგეობის შეკითხვაზე უპასუხა: **საზოგადოება ყოველის** ღონის-ძიებით ცდილობს მალე მოკირწყლოს ქუჩები, მაგრამ ფოთში მუშათა გაფიცვის გამო ჩვენი **ქვით დატვირთული გემები უკან ბრუნდებიან** და ეს გარემოება გამგეობამაც არ უნდა დაივიწყოსო.

— ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ვერმიშევმა გუშინ, 2 მარტს, **ფინანსთა მინისტრს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:** „ტფილისის ქალაქის გამგეობა, ეპირება რა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მოკირწყვლას, საჭიროდა სცნო, ზოგიერთი დიდი ქუჩა ასფალტის ფილაქნით მოკირწყლოს. შემოტანილ ქვაზე მეტად დიდი ბაჟი არის დადებული, ასე რომ თითო ოთხ-კუთხი საჟენი ქუჩისა მარტო ბაჟი ჯდება 9 მან. და 75 კაპ." დასასრულ, ქალაქს მოურავი სთხოვს ფინანსთა მინისტრს, ნება დართოს ქალაქის თვით-მართველობას, რომ საჭი[illegible] უბაჟოდ შემოიტან[illegible].

— **ქალაქის სამღვდელოების იმ დეპუტაციას, რომელიც უნდა მისულიყო საქართველოს ეგზარხოსთან** და შეეტყობინებინა სამღვდელოების გადაწყვეტილება, ექსარხოსისაგან ეუწყა, რომ სამღვდელოების გადაწყვეტილებათა დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია და ხსენებული დეპუტაცია ტყუილად თავს ნუ იწუხებს ჩემთან მოსვლითაო. ამ პასუხის შემდეგ სამღვდელოებამ კერძო კრება მოახდინა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოიქცეს **სამღვდელოება** შემდეგში და რა ღონისძიებას მიმართოს სამღვდელოების კრების დადგენილების შესასრულებლად.

— ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს **ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ** ხელ-მეორედ არჩეული **სულიევი** და სთხოვა დაამტკიცოს იგი ამ თანამდებობაზე.

— რადგანაც წარსულ ზაფხულს ბაქოს გუბერნიაში ხორველა იყო მოდებული, ბაქოს გუბერნიიდან მომსვლელთ აკრძალული ჰქონდა ბარგი-ბარხანის გადატანა. **ამჟამად მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი**, რომლის ძალითაც ბაქოს გუბერნიის მცხოვრებთ ნება ეძლევათ ბარგის გამოტანისაც.

— **ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ** ვაჟების პირველ გიმნაზიელებსა და მასწავლებლებს თვის-შორის შეუკრებიათ 171 მანათი და 80 კაპ. ფული ქალაქის მოურავს გადასცეს.

— მკითხველებმაც იციან, რომ გაზეთმა „რუს"-მა ადგილი დაუთმო რამდენიმე წერილს **ქართველების საჭიროება-მოთხოვნილებათა შესახებ** და დაჰპირდა, ამგვარ წერილებს ყოველთვის დავბეჭდავო. ამის გამო ქართველთა ერთმა ჯგუფმა ამ გაზეთის რედაქციას 22 თებერვალს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: მადლობას გიძღვნით იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც „რუს"-ის რედაქციამ ყველა არა რუსთადმი გამოიჩინა და თავის გაზეთში ჩვენი საჭიროების შესახებ ლაპარაკის ნება მოგვცა. გმადლობთ ქართველთა ყოფა-მდგომარეობის სიმართლით აღწერისათვის. დეპეშაზე ხელი უწერიათ.:

ილია ჭავჭავაძეს, დავით ნიჟარაძეს, ა. ჯამბაკურ-ორბელიანს, ი. ანდრონიკაშვილს, ი. რატიშვილს, ა. მურაშილ-ყაჯრიევს, ა. აბაზაძეს, ნ. ჯორჯაძეს, პ. ყიფიანს, მ. ადამაშვილს, ნ. ციციშვილს, ნ. აბაზაძეს, კ. აბხაზს, ი. ჯორჯაძეს, ლ. ჩერქეზიშვილს, ს. ჭავჭავაძეს, მ. ქორიძეს, დ. ქადაგიძეს, დ. კარიჭაშვილს, ნ. ჩოლოყაშვილს, გ. რცხილაძეს, ნ. თავდგირიძეს, გ. დიასამიძეს, ი. აბაშიძეს, ი. ზურაბიშვილს, ნ. გოგიტიძეს, ა. ცომაკურიძეს, ა. დიასამიძეს, კ. შათირიშვილს, ს. ვახვახიშვილს, ნ. თარხან-მოურავს, ს. იაშვილს, პ. მირიანაშვილს, ა. გარჩილაძეს, ზ. ჩხიკვაძეს, ნ. დევდორიანს, მ. გედევანიშვილს, ვ. მუსხელიშვილს, დ. დიასამიძეს, ი. ვახვახიშვილს, ა. ყანჩელს, ფ. გოგიჩაიშვილს, ა. ქუთათელაძეს, ნ. ახმეტელაშვილს, ა. ნათაძეს, ზ. ფალიაშვილს, ა. ყარაშვილს, დ. ჭავჭავაძეს, ს. ცირსალაძეს, ვ. რცხილაძეს, შ. ქუჩუკაშვილს, შ. დედაბრიშვილს, ნ. ერისთავს, ა. ფურცელაძეს, ვ. გუნიას, კ. მესხს, ა. ჯაბადარს, ა. მიქაბერიძეს, ლ. ბარათაშვილს, გ. კობახიძეს, დ. ნახუცრიშვილს, ეპიტაშვილს და ლ. ყიფიანს.

— სვიმონ გიორგის ძე ამირაღოვმა განაცხადა მე-9 პოლიციის ნაწილში, რომ 28 თებერვალს იმის სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, კულუბარკის სახლში, გაღებულ ფანჯარიდან შეპარულა ქურდი და გაუტანია ბრილიანტისა და ოქროს სხვადასხვა ნივთები, ხალიჩები, ბალიშები, საბნები და საცვლები, სულ 345 მანათისა. ამირაღოვმა ეჭვი მიიტანა სოფ. აბაშას მცხოვრებ ვალერიან ქორიძეზე, რომელიც წინად მასთან მსახურობდა. გამოძიება სწარმოებს.

# ფელეტონი

## შეგნებული საქმიანობა.

იგავებითა და მორჩილებით ადამიანის უფლებათა განცხადებების დრო გაჰქრა. მათი ადგილი პირდაპირმა და მართალმა სიტყვამ დაიჭირა.

შეიზიზღა ყველას ხავს-მოდებული, სამარცხვინო მორჩილება-უმოქმედობა, შეეზიზღა მონური აქვეითება გონებრივად თუ ზნეობრივად და თავისს ადამიანურ უფლებათა აღსადგენად „ბნელეთის ძალთ" ბრძოლა გამოუცხადა...

ცხოვრება ორად გაიყო: ერთს მხარესა სდგას ახალის ძალითა და რწმენით აღფრთოვანებული, მძლავრი და განახლებული, თავისუფლებისა, სიმართლისა და ადამიანურ უფლებათა მაძიებელი საზოგადოება; მეორე მხარეს—ძველ უსამართლობისა და უუფლებობის ბურჯი, ბიუროკრატიული უფლება და მისი საძირკველ-შერყეული დაწესებულებანი—და ქარიშხლის მოლოდინში ერთურთს საბოლოო სიტყვას უსმენენ!.. ძარღვები ორთავეს უკიდურესად დაჭიმული აქვთ.

აღარც ერთს, აღარც მეორეს უბრძოლოდ შერიგება არა სწადიან, მაგრამ რის იმედიც პირველს უტყუვრადა აქვს, მეორე ამის გაცრუებას კვალად ხრიკებით აპირობს თითქოს...

მაგრამ არ მოხდება ეს, რადგანაც ცხოვრების გამწმენდი ცოცხი—თვითცნობიერება—სასოებით ხელში უჭირავს ყველასა და სცდილობს თავისს გარშემო ჭუჭყი მალე როგორმე თავიდგან მოიშოროს, თუნდაც ძმას ძმისა სისხლის დასჭირდეს დაღვრა..

მაგრამ სამართლიანობისა, ერთობისა და ძმობისთვის არის განზრახული ასეთი საზარელი მსხვერპლი ყველასგანა... და ამიტომაც არავის აშინებს იგი! ყველა გულნათლადა და გაბედვით შეჰყურებს მოზღვავებულ გრძნობათა ღელვას... რომელმაც ახალი ცხოვრება და ნათელი უნდა მოჰფინოს ქვეყანასა.

ასეა დღეს შიგ რუსეთში, ასეა მისს განაპირო ქვეყნებში. ყველგან და ყველა ანგარიშს იძლევა ძველისა და ახლისასა და სამომავლოდ ემზადება. ფინლიანდია და პოლონეთი-კი წინ უსწრებენ შიდა-რუსეთსა, რადგან მეტი საზოგადოებრივი მომზადება აქვთ... მხოლოდ ჩვენი მხარეა შედარებით უფრო ჩამორჩენილი და მარტო ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოთქმულ აზრისა და სურვილისაგან შესდგება ჯერ-ჯერობით ჩვენი მოქმედება...

მართალია, საამდღეო საერთო მოძრაობაში კავკასიის პრესის ერთმა ნაწილმა კიდევაც გაამართლა ჩვენი მოლოდინი და ღირსეულად მიიღო ენერგიული მონაწილეობა და შრომა საერთო საჭირ-ბოროტო კითხვების აღნუსხვა-გარჩევაში და მომავალშიც, იმედია, არაფრით შესუსტებს პატიოსან ძარღვისა ცემას... მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მწერლობა და ჟურნალისტიკა მხოლოდ საზოგადოების გათვითცნობიერებასა და ცხოვრების მოვლენათა ყოველ მხრივად დაფასება-დარკვევას ემსახურება. მიღება კი თავისს თავზედ აქტიურ მოქმედებისა და შუამდგომლობა ან მოთხოვნა, რომ არსებული ნაკლი და ბოროტი საყოველთაო მდგომარეობისა მოისპოს, ან შეიცვალოს... არ შეუძლიან. მაგრამ რჩევა და დანახვება კი, რა დროს რის ქმნაა საჭირო, მისი წმინდა მოვალეობაა, ვინაიდგან იგი უდგას დარაჯადა და მსჯავრსა სდებს ყოველ-გვარს კულტურულსა თუ არა კულტურულს მოვლენასა, საქვეყნოდ გამომზევებულსა... დაფარული კი დამალულია...

გარდა ამისა, დაახლოვებით თავისი გაჭირვება და მოთხოვნილება მუდამ უკეთ იცის იმან მხოლოდ, ვინც ყოველ დღე ცხოვრების სხვა-დასხვა მოვლენას პირში შეჰყურებს, თავისს თავზედ ჰგრძნობს მისს სიავესა და სიკეთეს და ანგარიშსაც თვითონვე უწევს. მუშა ხალხი, მხვნელ-მთესველი, ვაჭარი, ხელოსანი, მოქალაქე და სხ. ერთად ყველა შეადგენენ იმ ერთეულს, რომელიც რეალურს ცხოვრებაში მოქმედობს და ეწევა ქვეყნის უღელს. ამიტომაც საჭიროა უთუოდ დღეს,—როდესაც თვით 18 თებერვლის უმაღლესი რესკრიპტიც აცხადებს: მთავრობას განზრახული აქვს „საზოგადოების მომწიფებულ ძალთა შეთანხმებულას მოქმედებით განახორციელოს ერის საკეთილდღეოდ" ცნობილი ცვლილება და „საკანონმდებლო დებულებათა შემუშავებაში და გამორკვევაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ღირსეული, ხალხისაგან პატივცემული და ხალხისაგანვე არჩეული პირებით,"—მოვახდინოთ სხვადასხვა ადგილას მრავალ-რიცხოვანი კრებები, გამოვარკვიოთ და ავნუსხოთ ჩვენის ხალხის საჭიროებანი და ასე შემუშავებული და დალაგებული მოთხოვნა შევაგებოთ მომავალს ცვლილებას, მაგრამ შევაგებოთ მოურიდებლადა და პირდაპირ, რადგანაც მხოლოდ და მხოლოდ ასეთს მოთხოვნას შეუძლიან სამუდამოდ თუ არა, დიდის ხნით მაინც, ხალხში მშვიდობიანობა დაამყაროს, რასაც მთელის რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნების მცხოვრებთა საუკეთესო ნაწილი ღრმად მოწადინებულია.

გაჭირვება და ცხოვრების სიძნელე განაპირა ქვეყნებისა უფრო დიდი და მძიმეა, ვიდრე შიდა-რუსეთის ხალხისა, ვინაიდგან ბიუროკრატიულმა მთავრობამ და მისმა მოხელეებმა მთელი უფსკრული ამართეს მათ შუა და გარუსების იდეამ ისე დააშორა რუსეთის შუა გული განაპირა ქვეყნებსა, რომ ბიუროკრატიულს ატმოსფერაში გამოჭახრაკებულს სახელმწიფო მოღვაწეს ხშირად ვეღარც კი წარმოუდგენია, თუ იგივე სამართლიანი მოთხოვნა რუსისა უცხო ერის წარმომადგენელთათვისაც აუცილებელია. თითქოს ჩვენ კი ადამიანები არ ვიყოთ, ან იმავ სახელმწიფო კანონებს არ ვემორჩილებოდეთ, ხშირად უფრო მეტის სისასტიკითა და შეუწყნარებლობით, ვიდრე ბუნებით რუსები. ერთი სიტყვით, რაღაც უუფლებო მონებად გვაქციეს, თუ რომ დღევანდელს გარემოებაში მცხოვრებს ყველას ერთად არ დაერქმევა იგივე მონა.

მთავრობის განსხვავებულმა შეხედულებამ და პოლიტიკამ განაპირა ქვეყნების გარუსებისამ ისე დაქსაქსა და დააბნელა თვით არსებული სუსტი კანონიერებაც კი, რომ სამართლიანობისას ნატამალსაც კი აღარსად ჩვენს ცხოვრებაში არა ვხედავთ. გამეფებულია ყველგან მხოლოდ დამცირება და უუფლებობა...

თავგასულობა ადმინისტრაციის უბრალო წარმომადგენლისაც კი ხშირად იქამდის აღწევს, რომ ყოვლად საპატიო და საიმედო ადამიანიც კი იძულებული ხდება მორჩილებით ქედი მოიხაროს მის წინა და უკანონობა მისის ქცევისა და მოქმედებისა გულში დაიმარხოს მხოლოდ, რადგან განსაჩივრებას უფროსი არაოდეს არ შეიწყნარებს... ყოველ დღე და ყველგან მაგალითი ათასია ამ გვარის უკანონობისა.

ამიტომაც საჭიროა უთუოდ, ვიმეორებ კიდევ, ყველა ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა და მეზობელ ერებისაც თვალხილულადა და გონივრად შეეგებოს დროის მოთხოვნილებასა და საერთო კრებებზედა თუ ყრილობაში, ქალაქად თუ სოფლად, გამოარკვიონ დაწერილებით, რა ეჭირვებათ და რა ცვლილება არის აუცილებელი, რომ ერში ნორმალური და მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდეს, კულტურულს განვითარებას წინსვლა შეეძლოს...

ყველა ეს დაწერილებით უნდა აღინიშნოს და სახელმძღვანელოდ წარედგინოს უმაღლესს მთავრობას, რომელიც მომავალს ცვლილებაში საჭიროდ აღიარებს საზოგადოების დახმარებასა.

ეს იქნება უმაღლესის მოწოდების შედეგი და პასუხი, მაგრამ კერძოდ ჩვენც შევასრულებთ ჩვენს წმიდა მოვალეობას მამულისა და მომავალ თაობის წინაშე, რადგან დღევანდელი წამი დიდად და დიდად მნიშვნელოვანია და გვავალებს მართალი პირდაპირ ითქვას და ნათელი მოეფინოს ყოველსავე იმას, რის უვარგისობაც დღევანდელს მართვა-გამგეობაში საზოგადოებამა და შემდეგ უმაღლესმა წრეებმაც ხმა-მაღლა და საჯაროდ აღიარეს.

ვიმეორებთ, ყველა ამას მწერლობა აღნიშნავს და დააფასებს ხოლმე, რასაკვირველია, თუ კრიჭა შეკრული არა აქვს; თან სცდილობს საზოგადოების შეხედულებასა და მიმართულებას გარკვეული გზა უჩვენოს,—რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ თვითონ საქმის დაწყება და მოთხოვნა კი მთავრობის წინაშე, და ისიც სხვათა მაგივრად, არ შეუძლიან. შეუძლიან მხოლოდ გამოსთქვას სურვილი. მაგრამ სხვაა სურვილის გამოთქმა და სხვაა მოთხოვნა..

მაგრამ უნდა ვიფიქროთ ყველა ამაზე არა მარტო ჩვენ, ჩვენმა მეზობლებმაც, რომლებთანაც ისტორიითა და დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებით დაკავშირებულნი ვართ და იძულებულნიც, მაშასადამე, ერთადა ვსწიოთ საერთო უღელი...

უნდა ვიფიქროთ ჩვენცა და იმათაც აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ერთურთს შორის მეზობლური დამოკიდებულება მომავალში: შეიძლება ერთმანერთის წარსადგენად ჩვენც რამე მოთხოვნა ან პირობები გვქონდეს? რადგან შეუძლებელია ორთა ან სამთა კავშირი უამისოდ, რა ხასიათისა და მიმართულებისაც უნდა იყოს იგი.

ერთა შორის თანხმობა და სოლიდარობა კავკასიაში ჩვენი გულის წადილია, მაგრამ ვერ დავფარავთ ვერც იმასა, რომ დღემდის ერთობა მხოლოდ სიტყვიერი იყო...

განსაზღვრა ერთურთის უფლებებისა და ძმური შეთანხმება, არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც, პირველსავე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს.

დროა, გონს მოვიდეთ და დღევანდელს დიდმნიშვნელოვანს გარემოებას ყველამ თვალხილულადა და ფხიზლად შევხედოთ, მხნედ ვიმოქმედოთ. უამისოდ საქმე არ გაკეთდება.

დამოუკიდებელი მონა.

## „ბუნიერი ზომიერება".

ასი წლის განმავლობაში ჩვენს თავად-აზნაურობას ოთხნაირი უფლება ჰქონდა: უფლება „ჩინმენდლების" მიღებისა, უფლება მამულების დაგირავებისა, გაკოტრებისა და მთელი ერის უფლების მითვისებისა!

ასი წლის განმავლობაში ჩვენი თავად-აზნაურობა ამ უფლებებით მართლაც რომ გულუხვად სარგებლობდა: მსახურობდა სამაგალითოდ, მსახურობდა ისე, როგორც ნამდვილი მოხელე ბიუროკრატი და ერთგული მამულიშვილი. გამოჭიმული იდგა, „ნაპრავო ნალევოს" სწავლობდა და წამ-და-უწუმ—საჭირო იყო თუ არა,—მოკრძალებითა და მორჩილებითა ყვიროდა:

— Слушаюсь, Ваше б—діе!

ჩვენს თავად-აზნაურობას მამულების დაგირავების უფლებაც ჰქონდა და ამ უფლებით სავსებით სარგებლობდა, და მართალი უნდა სთქვას კაცმა, თავის თანამდებობას ისეთის მხნეობითა და გულდასმით ასრულებდა, რომ მოლოდინსაც კი გადააჭარბა.

თავად-აზნაურობას გაკოტრების უფლებაც ჰქონდა და კიდევაც სწრაფად გაიარა გრძელი გზა ამ უფლებით...

ასი წლის განმავლობაში თავად-აზნაურობა სარგებლობდა კიდევ ერთის უფლებით, იმ უფლებით, რომელიც იმას არ ეკუთვნოდა. ეს გახლავთ—უფლება მთელის ერის სახელით ლაპარაკისა.

მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენი თავად-აზნაურობა ქვეყანას ატყობინებდა, საქართველოში სამაგალითო სიწყნარე და მშვიდობიანობაა, ხალხი კმაყოფილი და მორჩილია, ჩვენი ქვეყანა ყვავის, მწიფდება და რთველის მეტი აღარა უნდა რაო.

ჩვენ კი ამ არაკს ყურს უგდებდით და ვხედავდით, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში სიწყნარისა და მშვიდობიანობის მაგიერ მოძრაობა და ღელვა იწყებოდა; ვხედავდით, რომ კმაყოფილებისა და მორჩილების მაგიერ ხალხის გად-

✦ 28 თებერვალს ვორონცოვის ძეგლთან ელექტრონის ვაგონი დაეჯახა ტფილისის პოლკის ეტლს და მთლად დალეწა. ვაგონის ვატმანი სუხარიევი და კონდუქტორი ელაშვილი პასუხის გებაში მისცეს.

# სადღეისო

## ვინ არის მართალი?

—

ჩვენში და რუსეთში ჯერაც არ გამოლეულა ამისთანა განათლებული, შავს რომ თეთრს უწოდებს და თეთრად მიაჩნია და თეთრი შავად. საკვირველია ეს ჩემთვის, ვგონებ რომ—შენთვისაც, ჩემო კარგო, მაგრამ არც კი უნდა გვიკვირდეს. დიაღ, არ გაგვიკვირდება, თუ იმ აზრს წავიმძღვარებთ წინ, რომ ყველას ერთნაირი საღი ტვინი და გრძნობა არა აქვს, ყველა ერთნაირს წრეში არ აღზრდილა, ერთს და იმავე პრინციპზე და მტკიცედ არ დარწმუნებულა, რომ თვითეულ ჩვენგანის ბედნიერება მთელი ქვეყნის ბედნიერებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. აი, სწორედ ამის გამო ხდება ეს ზნეობრივი და გონებრივი სიმახინჯე.

მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ. აიღეთ რომელიც გინდა ნომერი „მოსკოვის უწყებებისა", გადაიკითხეთ და თქვენ თითონ კარგად დარწმუნდებით, რა ჯურის, რა მიმართულების, რა ტვინის ხალხი კიდევ მრავლად მოიპოვება დაღლოცვილ რუსის ქვეყანაში.

ღმერთმა ჩვენ გვაშოროს ამისთანა ნასწავლები, ამგვარი ქვეყნის მეთაურნი. ამ ზემორე აღნიშნულ ჯურის განათლებულთ მტკიცედ სწამთ ჯერ ერთი, ის, რომ რუსეთი ძალიან და ძალიან ძლიერი სახელმწიფოა,—ისეა მოწყობილი მისი შინაური საქმეები, არაფერს ცვლილებას არა საჭიროებენ.—თუ ცვლილება რამ მოხდა, თქვენი მტერი, დაიღუპება მთელი ქვეყანა.—ომი უნდა განვაგრძოთ იმ დრომდე, ვიდრე იაპონიას სრულად არ წავლეკავთ, არ შევმუსრავთო.—რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი შევიძინოთ, მეტი ქვეყნები დავიპყრათ, დავიმორჩილოთ, მოვლა და მოწყობა ამ ქვეყნებისა-კი ღმერთზე მივაგდოთო. რუსის ხიშტი, რუსის სალდათი ყოვლის შემძლებელია, გინდ მშიერი იყოს, გინდ მაძღარი, გინდ ნასწავლი, გინდ უსწავლი, და სხვადასხვა.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ხოლო მოკლედ კი შეგვიძლიან გამოვხატოთ მათი გონებრივი და ზნეობრივი აყლაყუდების ფორმულა: სნეულს ქვა მოუხარშეთ, ნახარში წვენი ახვრიპეთ, ქვა აკვნეტინეთ,—მორჩა და გათავდა, საღ-სალამათი დარჩებაო... გესმით?... მახლას!...

—

რატომ ჩემი დახავსებულ დაჟანგებული ხევსური არა ჰსჯის, არ ფიქრობს ასე, იმან ხომ წიგნის სახელიც არ იცის სწორედ და ყველა დაწერილს ქაღალდს „ატრატას" ეძახის? მოვისმინოთ, ერთი მისი მსჯელობაც დღევანდელ ცხოვრების ვითარებაზე, ომსა და „რეულობაზე".

ვიდრე მსჯელობას დაიწყებს ჩემი თოთია ჯერ ხუთივე თითს ულვაშებზე აისვამს, პირ-აღმე, რომ თავის სახეს მრისხანება მიანიჭოს და „ულვაშნიც სამავნეოდ" დაუდგნენ,—„სამავნეოდ", ანუ სამამაცოდ—და მერე განაგრძობს:

„ძალიან საკვირველია—დიდის ღმერთის მადლმა, საიდ რას გამაჩნდა ერთიან ეგ რაღაც იაპონიაია, სად იყავ აქამდინ, რო მაგის არც ავ გაიგონებოდ, არც კაი?! აბაბაბაი, საკვირველ საქმეს შვრების, ვოქები! მე რუსის მამრევ, ნიადე, არავინ მეგონ.

— სხვას ვის ეგონა, ჩემო თოთიავ, მაგრამ ეხლა რო გავიგონე, კი მგონია.

— პოტ-ატურიც აიღეს სამ იქავ?

— აიღეს და ჩადგნენ კიდეც შიგ.

„აუღეეე!... ცოტან სამ კი არიან ისინი?!... ნასწავლობით, მახერხებით თუ კვლავ სჯაბობს?

— ღურბლით ომობს, თოთიავ, ღურბლით,— ვუპასუხებ მე, რადგანაც ვიცი, რომ ეს ხმა გავრცელებულია ხალხში და არ მინდა შეურაცხვყო მისი წარმოდგენა, მისი რწმენა.

— ამბობენ დიაღა: მოაღის შავ ღურბელი, კუპრივით შავი; გაიძახების, გაიძახების, გაიძახების, ხალხ არ ჩინს; ჩამაიწყებს, ჩამაიწყებს ტყვია მადენას ხორხოშასავითავ, იღუპების, იღევის რუსის ჯარი... ყველაიც კი ვადით ას: ვაჟკაცობაი, სიმდიდრეი; გაუვ ყავლი—ერთიც მარჩების, მეორეიც. რუსს ყავლ გაუვიდ სადამ. იაპონიაჩი ერთს ერეკლეთასაკ, ბაგრატიონს ამბობენ გადასულს, იმან გაუჭირ უფრო რუსს საქმეო. იმითაც კელოვ თუღა შამაუთვლავ ჩვენის კემწიფისად, ქართველი ნუ მაომებავ, შენის რუსებიდ მეედავ; ან მაგათ რაზე მადუპვიებავ, მე და შენ გავიდეთ მარტ-მარტოდ, ჩვენ ვიომათეევ... უდიერობაი. უსამართლობაი მის დღეშიაც არ შარჩების კაცს; დაალონ, შააწუხ ხალხი, აღარას გასაძლისი; ყველას ფას დაედვა, ხარჯ მაემატ... აქამდის ვაძლევდით სალდათს, ეხლა აღარ მივცემთ: რაადჰხოცს? სად ჰღუპავს? უნდო დააკვეთას მკვდარს მამა-პაპის საფლავ-სამარეი?!.. თავის წყალ-ადგილი?... იქ რა უნდ იაპონიაჩი ჩვენ შვილებს, აქ დღეს თუ ხვალ ლეკი ქისტი, ჩაჩანი მზირას არიან ჩვენს ასაკლებად. მეომარ უფრო აქ გვიჰირს. არ გვაქონებიებს იარაღს. რით შუაქციოთ მტერს ხელი?დაიცებ დაგვხადა:მანდილების მეტ სხვა არა გვაკლავ. თითო სული ლა გვჩრავ პირში, ესეც საწყლობისად, ბეჩაობისად... ძველი ნათქვამი ას: „როსტომ თქვა, ერთი არა სჯობს ამ ჩემსა პოგონებასო. ერთხელ სჯობია სიკვდილი მუდამ ეამს დაღონებასო". ნეტარ ის მართალ იქნებისა, გამაგონებენ: იაპონიავ გუდან ხანმატს, ლაშარ-ღელეს ხარ-ცხვრით აპირობს მასვლასა სალოცავადაო. ჩვენ მისამხარო თუ კვლავ ას?!... ნეტარ ჩვენ რუსის ხელჩივ დავრჩებითა თუ იაპონიაისა?".

აი, რასა ფიქრობს უბირი ხევსური? იქნება ამას უსწავლელობით, უმეცრებით მოსდიოდეს? იქნება ხევსურიც სცდება, ტყუის. ვინ არის მაშ მართალი?

—

ვინ არის მართალი?—მხოლოდ ძალა და ძალა, რომელიც აღმართსა ჰხნავს;—ამოღებული ხმალი, რომელიც მდრტვინვაზე უკმაყოფილებას თავს უპობს, რაც დაგებადა წინააღმდეგობის ფიქრიო. ხიშტი, რომელიც უამისოდაც სისხლცრემლიან ადამიანის გულსა ჰგმირავს,—რადა ხარ უკმაყოფილო; —რადა სტირი, რადა სჩივიო?! —ბორკილი, დიდი მძიმე ბორკილი, რომელიც უნდა დაედვას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხადოს თვისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაცა სტკივა, არამედ იყოს ჩუმად, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალ-მკვდარად—ჩუუუ! სსსუუუ! სსუუ გრძელი და პრტყელი.

> ძალმა სთქვა: ჩემი კანონი
> ხიშტის წვერზედა სწერია.
> ვინც მე არ მაქებ-მადიდებს,
> მე ვარ იმათი მტერია.
> ურჩი ვერ დამემალება,
> როგორც მიმინოს მწყერია.
> ჩემს უარმყოფელს ვატყავებ,
> პურს ვაჭმევ, ვინცა მჯერია.
> ჩემი ნათქვამი გჯეროდეთ,
> უნდა დამიკრათ კვერია.
> არა და ყველას ზურგზედა
> აგედინებათ მტვერია.
> მანამ ძალა ვარ, ამას ვიქმ
> და, თუ მომწყდება წელია
> ან თუ სხვა ძალა დამძალავს,
> ყელს ჩამედება წნელია.
> აღარც მე მინდა სიცოცხლე,—
> წუთისოფელი ბნელია.

ვაჟა-ფშაველა

# პრესსა

—

მეშჩერსკი „ბუნტობს", მას აღელვებს ხელმწიფისაგან 18 თებერვალს გამოცემული ბრძანება —ეხლა ამ ბრძანების შემდეგ რუსეთში ინტელიგენცია გაბატონდებაო...

მეშჩერსკი სტირის,—ადგილ-მამულის პატრონი თავად-აზნაურობა ცოცხალმკვდარია და ვერ ჰბედავს ხმის ამოღებასა—გაკოტრდაო.

„თავად-აზნაურობამ უნდა მოიშოროს ჩვეულებრივი უმოქმედობა, უნდა აახილოს თვალი და გაითვალისწინოს ეხლანდელი მდგომარეობა.

120 მილიონი ხალხი უნდა ჩაუვარდეს ხელში ინტელიგენტებს.

ხალხმა უნდა მოიშოროს ინტელიგენტების ბატონობა, ვინაიდან ინტელიგენტებსაც ეჯავრებათ ის ხალხი.

ახლა, როდესაც ხალხმა უნდა აირჩიოს წარმომადგენლები საერო კრებისთვის,—თავად-აზნაურობა უნდა შეერთდეს და, თუ არ შეერთდა, უთუოდ სამუდამოდ დაიღუპება.

ნეტავი, შეუძლია კიდევ თავად-აზნაურობას მეშჩერსკის მეთაურობით ასპარეზზე გამოსვლა თუ არა,—ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჩვენ კი მომაკვდავის გამოცოცხლება ძნელი გვგონია!..

# რუსეთი

**პუტილოვის ქარხანაში** ამჟამად მუშაობა მხოლოდ ზოგიერთმა მუშამ დაიწყო. მუშებისთვის დაერიგებინათ მოწოდება, რომელიც ასე თავდებოდა: „ძირს გაფიცვა! ძირს აგიტაციები! შეგვეწიოს ღმერთი!" ხელი მოწერილი ჰქონდა „მექარხნე მუშების გუნდს". ამ მოწოდებას მუშებმა ეჭვის თვალით შეხედეს. 24 თებერვალს მუშებს დეპუტატების ამორჩევის ნება მისცეს, რომლებმაც მოილაპარაკეს და დირექტორს შემდეგი მოსთხოვეს: 1) დაჭერილ ამხანაგების სასარგებლოდ ნება-დართული იყოს მთელ ქარხანაში შეწირულების მოგროვება. 2) გაიხსენოს დირექტორმა თავისი დაპირება დაჭერილ მუშების განთავისუფლების შესახებ და ამასთანავე დირექტორს შეატყობინონ, რომ სხვა მუშებიც დაუჭერიათ კიდევ, მათ შორის, შიდლოვსკის კომისიაში მუშების წარმომადგენლად არჩეული დეპუტატები და 3) მოწესრიგდეს ადმინისტრაციის და მუშების ამ წარმომადგენლების ურთიერთობა.

**24 თებერვალს მოხდა ინჟინერთა საერთო კრება**, რომელსაც ქალაქის უფროსის ბრძანების თანხმად პოლიციაც დაესწრო. კრებამ მუშების ეხლანდელ გაფიცვაზე იქონია მსჯელობა. აღნიშნული იყო, რომ მშრომელი კლასის მდგომარეობა ამჟამად აუტანელია, სიმშილი მუშებში სერიოზულ სახეს იღებს და შიდლოვსკის კომისიის მოსპობა არა სასურველ შედეგს იქონიებს მუშებისათვის, რომელთა შორის შეიძლება უთანხმოებამ იჩინოს თავიო, რადგანაც მუშებში გავრცელებულია ხმა, ვითომც შიდლოვსკის კომისიის მოსპობა მუშების ფაბრიკანტებისაგან მოსყიდულ დეპუტატების ვერაგობით არის გამოწვეულიო. ძალიან შესაძლებელია, ამ ჭორს და ხმებს სერიოზული შეტაკება მოუხდეთ, როგორც მუშებს ერთმანეთში, ისე მუშებსა და ფაბრიკანტებსო. დასასრულ კრებამ დაადგინა: ინჟენერთა კავშირის საბჭომ გამოარკვია რა შიდლოვსკის კომისიისა და ადმინისტრაციის მოქმედება, სრულ კანონიერად იცნო მუშების მიერ წამოყენებული პირობები პიროვნების ხელ-უხლებლობისა, სიტყვისა და კრებების თავისუფლების შესახებ და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ უამისოდ მუშების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. ამასთანავე საბჭომ ცხარე წინაღმდეგობა გამოაცხადა და გაჰკიცხა მუშების წარმომადგენლების შეპყრობა, რომელნიც არჩეულ იყვნენ თვით სენატორ შიდლოვსკის წინადადების თანხმად.

ამის შემდეგ კრება ბაქოში მომხდარ ამბებსაც შეეხო და თავის ზნეობრივ მოვალეობად დაისახა, გამოაცხადოს თავის ღრმა გულის-წყრომა ამ მხეცურ ძარცვა-ჟლეტის მიმართ, რომელმაც განათლებულ კრების თვალში სირცხვილის ლაქი მოსცხო არა მარტო ამ სიმხეცეში პირდაპირ მონაწილეთ და ფარულ ხელმძღვანელებს, არამედ მთელ რუსის საზოგადოებას, თუ ის მხოლოდ კერძო მოწმედ დახვდება ამგვარ საშინელ ამბებს.

დასასრულ ინჟინერთა კავშირმა თავის მოვალეობად დაისახა ამ საჩივრითა და პროტესტით მიმართოს საზოგადოებრივს აზრს და მას მოეთხოვოს შესაფერი განაჩენი, რისთვისაც გადაწყვიტა გაუგზავნოს მოწოდება: 1) ინჟენერთა კავშირის განყოფილებებს სხვა და სხვა ქალაქებში; 2) საიმპერატორო რუსულ ტეხნიკურ საზოგადოებას და ყველა მის განყოფილებას. 3) ყველა საზოგადოებებს, როგორც ინჟინრებისას, ისე ექიმებისა და იურისტებისა, აგრეთვე ინტელიგენტურ შრომის სხვა წარმომადგენლებს და სთხოვოს—აღიმაღლონ თავისი ხმა ადამიანურ ღირსებისა და უფლებების ასე საზიზღარ გათელვის გასაკიცხავად.

### ქართველების მოხსენება მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სამთავროებმა (ქართლ-კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი), 1801 წლის შემდეგ თავიანთი ბედი რუსეთის ცხოვრებას შეუკავშირეს და ცნობილ ხელშეკრულებათა ძალით მიიღეს რუსეთის პროტექტორატი, ანუ მფარველობა. ამ ხელშეკრულობას და საქართველოს ცხოვრებაში შემოსულ ცვლილების საერთო მსვლელობას ერთი და იგივე აზრი ჰქონდა მაშინვე სარჩულად,—ქართველებმა ნებაყოფლობით იმიტომ მიმართეს რუსეთის მფარველობას, რომ მოშორებოდნენ მუდმივ ომიანობას, დაეწყოთ მშვიდობიანი განვითარება და ნივთიერ კეთილდღეობისათვისაც გულ-დამშვიდებით ეზრუნათ.

ასს წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთთან ცხოვრობს და ამ ასის წლის განმავლობაში გაცრუებული შეიქმნა ქართველების ყოველი იმედი. რუსეთი პირველად საჯაროდ აცხადებდა: „ქართველი ერის თხოვნამ გვაიძულა არ დაგვეგდო უმწეოდ თანამორწმუნე ერი, რომელმაც დახმარება მოგვთხოვა. გვაიმედებდნენ, რომ არ გაგვიცრუვდებოდა ამისი იმედი. გვეუბნებოდნენ, არ გვინდა მოვიმატოთ ახალი ადგილ-მამული, არ გვამოქმედებს ანგარება, არ გვაწუხებს ძალების სისუსტე,—თქვენსავ საკეთილ-დღეოდ ვასრულებთ საქართველოს მართვა და გამგეობასო. ადამიანური გრძნობა, პატივისცემა და თავმოყვარეობა გვავალებს—საქართველოში დავამყაროთ მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უშიშროება და ყოველ ადამიანს კანონი გავუხდოთ მფარველად". მაგრამ შემდეგ, ამნაირი დაპირება დაივიწყა რუსეთის მთავრობამ. დაივიწყა, რა მიზნით უერთდებოდა საქართველო რუსეთს, და ეროვნულ განვითარებაში, ხელის შეწყობის მაგიერად, დაიწყო ქართულ ეროვნებისა, მის დედა ენის დევნა საქართველოში. განდევნა ქართული ენა სასწავლებლებიდან და მით სწავლა-აღზრდის საქმეც დაამახინჯა. განდევნა ქართული ენა ეკლესიებიდანაც და ამითი ქართველ ერის სარწმუნოებრივი გრძნობებიც შელახა, განდევნა ქართული ენა სასამართლოებიდან, სხვადასხვა განცხადებებიდან და ამითი ყველა აღნიშნული დაწესებულებაც დააშორა ქართველებს.

ქართველი ერი განსაზღვრულ პირობით არის შეერთებული რუსეთთან და ამიტომ რუსეთში თავისუფალ მოქალაქედ უნდა იყოს,—მთავრობამ კი ქართველები დასახა მონებად, მახვილით დამორჩილებულ მონებად, და არ გაიმეტა მათთვის ყველა ის უფლება და უპირატესობა, რომელიც აქვს მინიჭებული რუსებს შუაგულ რუსეთში. ამნაირად რუსებს და ქართველებს შორის, ორივე ერის საუბედუროდ, გაჩნდა საშინელი უფსკრული.

კავკასიის წესწყობილებაში შემოღებულმა პირობებმა შეაჩერეს ქართველების ეროვნული განვითარება, შეაჩერეს მისი გონებრივი და ქონებრივი წინსვლა. სამშობლო ენის დევნამ, ძალით გარუსების სურვილმა, ხალხის ეკონომიურ და ზნეობრივ მოთხოვნილებათა უყურადღებოდ დატოვებამ შეუძლებელად გახადა კავკასიისთვის მშვიდობიანი ცხოვრება, რომელიც თვით სახელმწიფოს ძლიერებისთვის არის საჭირო,—ამის მაგიერად დაიბადა ვნებათა ღელვა, საზოგადო უკმაყოფილება და ახლა ხალხის აღელვებაც თანდათან გაძლიერდა და გაიშალა, ცხადია, რომ არსებული წესები მავნებელია თვით ქართველ ერის განვითარებისა და სახელმწიფოს ძლიერებისათვის.

საჭიროა, უმაღლეს მთავრობასა და კავკასიის მცხოვრებთა შორის ჩამოვარდეს გულწრფელობა და ბუნებრივი ურთიერთობა. ამიტომაც ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ქართველი ერის [illegible] წარმომადგენელნი, ვუცხადებთ მინისტრთა [illegible] ჩვენი ერის ზოგიერთს და უმთავრეს საჭიროებას.

კავკასიის მართვა გამგეობაში უნდა მოისპოს ყველა განსაკუთრებული კანონი, რომელიც აფერხებს საზოგადო ცხოვრების მშვიდობიან განვითარებას, სამოქალაქო გამგეობა უნდა მოეწყოს ისევე, როგორც იქნება იგი მოწყობილი შუაგულ რუსეთში.

კავკასიაში უნდა იყოს შემოღებული სრული თვითმართველობის პრინციპზე აგებული საერობო წეს-წყობილება იმ წესით, რა წესითაც იქნება იგი მოწყობილი შუაგულ რუსეთში.

საქალაქო თვითმართველობა უნდა იყოს აგებული დემოკრატიულ ნიადაგზე და სრულიადაც განთავისუფლებული ადმინისტრაციის გავლენისაგან.

სასამართლო უნდა დაუახლოვდეს მცხოვრებლებს მის შერყეულ ავტორიტეტის აღსადგენად, უნდა იყოს შემოღებული ნაფიცი მსაჯულები, მსაჯულებს უნდა ირჩევდეს ხალხი და სასამართლოებში საქმე უნდა სწარმოებდეს, როგორც სახელმწიფო ენაზე, ისე ადგილობრივ ენებზედაც, ვინაიდან მხოლოდ ამნაირად შეუძლია სასამართლოს იქაურის ხალხზე რამე აღმზრდელი გავლენა.

სწავლა-განათლების საქმეში უნდა მოისპოს ძალად გარუსების სისტემა, რომელიც სახელმწიფო სასწავლებლებისადმი საერთო სიძულვილსავრცელებს ხალხში. პირველ დაწყებითი, საშუალო და სხვა სასწავლებლებში ყველა საგნების სწავლება სავალდებულოდ უნდა იყოს შემოღებული ქართულად და ამასთანავე სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის სახელმწიფო ენის შესწავლაც. ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის სწავლება საფუძვლიანად უნდა მოეწყოს. ქალაქ ტფილისსა და ქუთაისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი და უმაღლესი სასპეციალო სასწავლებელი. საჭიროა, საყოველთაო, სავალდებულო და უფასო პირველ-დაწყებითი სწავლის შემოღება. სასწავლებლების დაარსებაში და სხვა აღმზრდელ დაწესებულებათა მოწყობაში ყველა მსურველს უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება.

საქართველოს საეკლესიო საქმეებში უნდა მოისპოს ყველა ის ზომა, რომელსაც მიზნად აქვს პოლიტიკა და არა სარწმუნოება, როგორც არის, მაგალითად, ქართული ენის განდევნა ეკლესიიდან, უმაღლეს ადგილებზე უცხოელ მღვდლების დაყენება საქართველოში, გარუსების უკუღმართი პოლიტიკა სამრევლო სკოლებში და სასულიერო სასწავლებლებში და საზოგადოდ ის საშინელი უღელი, რომელიც აწევს ქართველ სამღვდელოებას კისერზე და აშორებს საზოგადო ცხოვრებას.

უნდა მოისპოს ყველა ის თავისუფალი ცხოვრების შემზღუდველი წესები, რომელიც შემოღებულია ჩვენში ადმინისტრაციის განკარგულებით და რომლის ძალით ქართველს საქართველოში სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში შესვლას უძნელებენ და სავალდებულოდ ხდიან სახელმწიფო ენის ცოდნას ადგილობრივ სამსახურში შესვლისთვის.

ქართველთა სიცოცხლის დასაფარავად უნდა იყოს აღდგენილი უწინ არსებული წესი, რომლის ძალითაც ადგილობრივი ჯარის კაცებისაგან განსაკუთრებულ რაზმებს ადგენდნენ და კავკასიაში სტოვებდნენ.. ამჟამად კავკასიელებს სამსახურისთვის რუსეთში გზავნიან, სადაც ვერ იტანენ ჩრდილოეთის სიცივეს, სნეულდებიან და მრავალი მათგანი იხოცება უდროვოდ. ამის გამო კავკასიელთათვის სამხედრო ბეგარა განსაკუთრებით აუტანელი ხდება,—სხვა პირობებში კი აქაური ხალხი სიამოვნებით შეასრულებდა თავის მოვალეობას.

საზოგადოდ უნდა მოისპოს საქართველოში (ქუთ. და ტფილისის გუბ.) ბატონ-ყმობის ნაშთი და გლეხებს უნდა მიენიჭოთ დანარჩენ წოდებათა თანასწორი უფლება.

უმიწა-წყლო და მცირე მიწა-წყლის პატრონ ქართველებს უნდა მიეცეს უფლება დასახლდნენ თავისუფალ სახაზინო ადგილებზე კავკასიაში. უნდა მოისპოს ყველა ის დაბრკოლება, რომელიც განზრახ არის შემოღებული იმისთვის, რომ შეუშალოს ხელი ამ აუცილებელ და მეტად [illegible] უფლების განხორციელებას.

ქართველ ხალხზე უნდა გავრცელდეს ყველა ის წესიან კანონი, რომელსაც ექნება მიზნად კანონიერების დამყარება სახელმწიფოში: პიროვნებისა და საცხოვრებელ სადგომის ხელუხლებლობა, სვინიდისის, სიტყვისა და ჟურნალ-გაზეთობის თავისუფლება (რუსულსა და ქართულ ენაზე), გაფიცვის, კრების, შეკავშირების თავისუფლება და აგრეთვე ყველა ის განკარგულება და კანონი, რომელსაც ექმნება აზრად მუშა-ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება: საქარხნო კანონმდებლობა, მუშა-ხალხის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოსგან მუშების დაზღვევა.

### ქუთაისის მარშლის ს. ი. წერეთლის მოხსენება ქართველ ერის საჭიროებათა შესახებ.

1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში გამოთქმულია, რომ აუცილებლად საჭიროა ძირითადი ცვლილების შემოღება სახელმწიფო ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, მაგრამ ქართველ ერს (ქუთ. და ტფილ. გუბერნ.) არ შეუძლია შეატყობინოს მინისტრთა კომიტეტს თავისი მრავალგვარი საჭიროება, ვინაიდან კავკასიაში თავისუფალი ჟურნალ-გაზეთობა არ არის,—ამიტომ მე, როგორც ხალხის მრავალგვარ საჭიროებასთან ახლო მდგომი, ვბედავ მოკლედ გამოვსთქვა ქართველების უმთავრესი მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილება დაუყონებლივ საჭიროა:

1) გენერალ-გუბერნატორთა განსაკუთრებულ უფლებების მოსპობა და მათ მაგიერად იმავე წესწყობილების შემოღება, რომელიც არსებობს საერობო გუბერნიებში.

2) 12 დეკემბრის ბრძანების მეორე მუხლში მოხსენებულ პრინციპის თანახმად ერობის შემოღება კავკასიაში და საქალაქო თვითმართველობის უფლებათა გაფართოვება.

3) ნაფიც მსაჯულთ შემოღება, სასამართლო საქმის გაუმჯობესება,—მომრიგებელ მოსამართ-

—

...ვიძების ნიშანი—უკმაყოფილება, გაბრაზება და ჯიჩობა ძლიერდებოდა; ვხედავდით, რომ აყვავებისა და დამწიფების მაგიერ ჩვენი ქვეყანა გაოხრდა, გაღატაკდა, უდაბნოდ გადაიქცა და შემოდგომის სუდარაში გახვია: ვხედავდით ჩვენის ქვეყნის აკლებას, აწიოკების, დარბევას და თავადებს ვუყვიროდით:

— Самозванцы!

მაგრამ „სამოზვანცები"-ყურსაც არ იბღერტავდნენ და პასუხად მთავრობას დაჟინებით არწმუნებდნენ.

— საქართველოში все благополучно!

როცა ბრწყინვალე წოდება ამას ამბობდი, პირი ჩრდილოეთისკენ ჰქონდა მიქცეული; მერე კი, როცა ჩვენსკენ, სამხრეთისაკენ მობრუნდებოდა, ყველას გვარიგებდა და გვამშვიდებდა: თქვენ გაჩუმდით, ნუ გეშინიანთ. ჩვენ თქვენთვისაც ვზრუნავთ, მხოლოდ ეხლა გონიერი ზომიერება (თუ ზომიერი გონიერება) ჩვენთვის აუცილებლად საჭიროაო. თუ გვინდა, რომ ჩვენ, ქართველებმა, მივიღოთ რამე, უეჭველად ზომიერ პოლიტიკითა და პოლიტიკურ ზომიერებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, თორემ ბატონი გაგვირისხდება და არაფერსაც არ მოგვცემსო.

ასე ამბობდნენ ჩვენი პოლიტიკოსები და პოლიტიკურ ზომიერებასა და ზომიერ პოლიტიკოსობას ზედ ზომიერ გონიერებასაც უმატებდნენ.

დიაღ, იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში ბიუროკრატიული თვითნებობა და „ჩინოვნიკური" ძალმომრეობა გამეფებული; იმ დროს, როცა ხალხს სულ უბრალო ელემენტარული უფლებებიც კი წაართვეს და ყოველ მის ნაბიჯს დარაჯი დაუყენეს; როცა საზოგადოებრივ ძალას ახშობდნენ, სიცოცხლის ნაპერწკალს უქრობდნენ, ყოველივე ინიციატივას უსპობდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრება სამარეს დაამსგავსეს; იმ დროს, როცა ყოველ ჩვენს სურვილს განათლებისა და ხალხის თვითცნობიერებისას გაღვიძებისადმი პოლიტიკურ დანაშაულად და სთვლიან სამშობლოს მოღალატესავით სასტიკად გვსჯიან —ამ დროს „მოწინავე წოდება" თვალებზე ხელებს იფარებს და დაჟინებით გაიძახის:

— საქართველოში სრული მშვიდობიანობა და სიწყნარეა, ხალხი კმაყოფილი და მადლიერია და მთელი ქვეყანა ყვავის და მწიფდება.

გონიერ ზომიერების პოლიტიკის მომხრე და მოთავენი ასი წლის განმავლობაში სერეილიზმით, პირმოთნეობითა და ლაქუცით ენას ილესავდნენ, გულხელდაკრეფილი ზევით იცქირებოდნენ და ელოდნენ: ჩვენი სიმღერა და ქებათა-ქება ყვავს შეაცდენს, გაახარებს, პირს გააღებინებს და ყველის ნაჭერი ან დღეს ჩაგვივარდება ხელში ან ხვალაო.

ყვავმა პირი არ გააღო და ყველის ნაჭერი არ ჩამოაგდო. ზომიერი პოლიტიკოსები კი დღესაც ერთს ადგილზე დგანან, დღესაც ერთსა და იმავე ჰანგსა მღერიან, დღესაც პირდაღებულნი ყვავს შესცქერიან და ყველის ნაჭერს ელოდებიან.

ასი წლის განმავლობაში ისინი ხან-გამოშვებით ცხრა მთას იქით გადადიოდნენ და ჩრდილოეთში მომხიბლავ არაკებს ავრცელებდნენ, აქ კი, საქართველოში, იმათ მაგიერ ჩვენ ვწითლდებოდით და პირისახეზე ალმური გვედიოდა. ხოლო იქიდან ზოგიერთი ღიმილითა და ეჭვით შემოგვცქეროდა, ძალდატანებით თავზე ხელს გვისვამდა და გვაქებდა. ჩვენ კი სირცხვილით ვიწოდით და პირს ვარიდებდით.

ვისლისა და არაქსის შვილები მწარედ დაგვცინოდნენ, ირონიით მოწამლულ ისრებს გვიშენდნენ და ზურგს გვაქცევდნენ. ჩვენ კი სიბრაზით აღარ ვიცოდით რა გვექნა და ზომიერ პოლიტიკოსებს გულში წყევლა-კრულვას ვუგზავნიდით.

გვრცხვენოდა, ვწითლდებოდით და სირცხვილით გარედ თავს აღარ ვყოფდით, მაგრამ გვიანღა იყო: საქვეყნოდ შევრცხვით და თავზე ლაფი დაგვისხით: ჩვენს უღელს ჩვენვე ვაგერგვინებდით, საკმევლს ჩვენვე ვუკმევდით და პარაკლისსაც კი ვუხდიდით.

ეს იყო ზოგჯერ პოლიტიკოსების „მოქმედება", „მორჩილება" და „მუხლის მოყრა",—აი რა ეწერა მათს დროშას, რომელიც მათ სამშობლოს მხსნელად მიაჩნდათ, ხოლო ჩვენ სუდარად გვეჩვენებოდა...

მაგრამ რაც იყო,—იყო, წაიღო ისტორიამ, და გვინდა ვიფიქროთ, რომ ხელმეორედ აღარ დაგვიბრუნდება. სამარცხვინო სუდარა დღეს გამოსაჩენი აღარაა,—იგი უნდა დახიონ, დაკუწონ, დასწვან და მისი ფერფლი ქარს გაატანონ. თუ დღემდის ჩვენი „ზომიერები" კომპრომისს ურიგდებოდნენ და თავჩაღუნული მორჩილების დროშას ატარებდნენ, ეხლა მაინც წელში უნდა გაიმართონ და უშიშრად შეხედონ ცხოვრებას...

ჩვენი ისტორია, რომელიც 104 შავ ფურცელზეა დაწერილი, წრეულს უნდა გათავდეს. მე 105 ფურცელი თოვლივით თეთრ ფურცელზე უნდა დაიწეროს და ობლის ცრემლივით წმინდა, მთის ნიაღვარსავით მღელვარე ამბავით უნდა დაიწყოს.

ეს ამბავი უკვე დაწყებულია. იგია ამბავი ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისა. გონიერმა ზომიერებამ ხალხის მოძრაობის წინ ქედი უნდა მოიხაროს და ჩაწვეს იმ უფსკრულში, რომელიც ზომიერებამ შექმნა და რომლის ამოვსება მხოლოდ ზომიერების გვამით-ღა შეიძლება. გურიისა და იმერეთის გამოფხიზლებამ ყველას დაუმტკიცა ამის აუცილებლობა.

დაე, ჩვენმა „ზოგიერთებმა" გულდასმით შეისწავლონ ფინლიანდიის ცხოვრება უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში, გაითვალისწინონ ამ ქვეყნის საუკეთესო შვილთა პიროვნება, იმათი მამულისადმი თავ-განწირული სიყვარული, ხალხისათვის თავისთავის უარყოფა და შემდეგ მოიფიქრონ, თუ რაოდენად საგულისხმიერო გაკვეთილის მომცემია უცხო ხალხის მაგალითები ჩვენთვისაც. დღეს ჩვენ დარიალის ხეობაში შევედით და ბილიკების ძებნა აღარ შეიძლება და არც თუ არის სადმე ეს ბილიკი. გზა მხოლოდ ორია: ან კეთილშობილური და მოქალაქობრივი გამბედაობა უნდა გამოვიჩინოთ და წინ მხნედ და მედგრად გავწიოთ, ან და ყურ-მოჭრილ მონის მორჩილება უნდა გამოვიჩინოთ, უკან დავიხიოთ და ისევ ზომიერების სუდარას შევაფაროთ თავი.

ჩვენმა თავად-აზნაურობამაც ერთ-ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან სრულიად უარჰყოს ერი და იმის ინტერესებისთვის ბრძოლა, ან უნდა სავსებით მიიღოს ხალხის პროგრამა და ამით დაამტკიცოს, რომ „ჩინმენდლების" ფარეშისა და მამულების დაგირავების უფლებას მასში სრულიად არ ჩაუქრია მოქალაქობრივი გამბედაობა და სულ უბრალო, ელემენტარული გრძნობა სიმართლისა და ხალხის ინტერესების დაცვისა.

მიგრეხილ-მოგრეხილ ბილიკებით ფოთხვა და ცოცვა ეხლა შეუძლებელია და... გვიანაცაა.

სხვა რომ არა იყოს რა, ბუნების სულ უბრალო კანონია, თავის თავის დაცვის ინსტინქტმა მაინც უნდა დააყენოს ამ გზაზე ქართველი თავად-აზნაურობა...

მ. ალ—ლი.

ლეებთან და შეძლებისადაგვარად დანარჩენ სასამართლოებშიაც საქმის წარმოება ადგილობრივ ენაზე.

4) საქართველოში (ქუთაისის და ტფილისის გუბ.) ბატონ-ყმობის უკანასკნელ ნაშთის მოსპობა.

5) იმ ადმინისტრატიულ ზომების გაუქმება, რომელიც ხელს უშლის ქართველების დასახლებას სახაზინო ადგილებზე კავკასიაში.

6) იმ წესის მოსპობა, რომლის მეოხებითაც ადგილობრივ მცხოვრებს არ შეუძლია აქვე სახელმწიფო სამსახურში შევიდეს.

7) ხელის აღება ქართველების გარუსებაზე. სავალდებულო სწავლის შემოღება სახალხო სასწავლებლებში ქართულ ენაზე. საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის, მწერლობის და ისტორიის სწავლება, ქ. ტფილ-სში უმაღლეს სასწავლებლის, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის დაარსება.

8) საქართველოს ეკლესიებში ყველა იმ განკარგულების გაუქმება, რომელიც კანონზე არ არის დამყარებული. საქართველოში ქართულად წირვა-ლოცვა უნდა სრულდებოდეს. სასულიერო უმაღლესს სამსახურში ქართველების მიღება. სამრევლო სასწავლებლებში გარუსების პოლიტიკის მოსპობა.

9) ამიერ კავკასიაში ყველა იმ კანონის შემოღება, რომელიც იქმნება გამოცემული სხვაგან პიროვნების ხელუხლებლობის დასაცველად, კანონიერების დასამყარებლად; ბეჭდური სიტყვის თავისუფლება (რუსულადა და ქართულადაც) და საზოგადოდ ცხოვრების ყოველი დარგის გაუმჯობესება, ისე, როგორც იქმნება იგი შუაგულ რუსეთში.

10) სხვა ერებთან ერთად ქართველებს უნდა მიენიჭოს თანასწორი მონაწილეობა ყველა იმ ცვლილებაში, რომელიც რუსეთში დამყარდება.

## უცხოეთი

**პან-ისლამიზმისა და არაბეთის ნატვრა.** კარგა ხანია, რაც აღმოსავლეთ ქვეყნების მაჰმადიანობაში ერთ-გვარმა მოძრაობამ იჩინა თავი, რომელსაც თითქოს დიდი მერმისი მოელოდა. გარკვეული ხასიათი მოძრაობამ ჯერ სტამბოლს მიიღო, შემდეგ კი მთელ აღმოსავლეთ მაჰმადიანობაში იწყო გავრცელება: სპარსეთს, ავღანისტანს, მცირე-აზიასა, არაბეთსა და ეგვიპტეში. ამ მოძრაობას პან-ისლამიზმი ჰქვიან და აზრად აქვს სულიერ კავშირის განმტკიცება მთელს მაჰმადიანობაში და, თუ შეიძლება, ახალ პოლიტიკურ წყობილების დაარსება,—ფედერატიულის ხასიათისა. ასეთი შემაერთებელი მოძრაობა გამოწვეული იქმნა თავის დასაცველად ევროპიელთა შემოსევნისაგან, რომლებმაც, როგორც ვიცით, იმ თავითვე დაიწყეს მაჰმადიანთა ქვეყნების დაპყრობა და, ერთმანეთს რომ არ ეცილებოდნენ, აქამდის ყველგან გაბატონებული იქნებოდნენ. ტუნისი, ალჟირი, ეგვიპტე ხელს იგდეს და ახალ მაროკკო, მცირ-აზია, არაბეთსა და სპარსეთზე უჭირავთ თვალი. მომავალ განსაცდელის ასაცდენად მაჰმადიანობა თავის დაცვის საქმეს შეუდგა, რომელიც ითხოვდა უპირველეს ყოვლისა ერთობას მტრის მოსაგერებლად, ე. ი. საერთო კავშირის დაწესებას. ამის მოსაგვარებლად სამოქმედო ასპარეზზე პან-ისლამიზმი გამოვიდა, თავის მოძღვრებით დაარსდა ამ აზრით გაზეთები ოსმალეთში, ეგვიპტეს, ტუნისში; დაწესდა ბევრგან საზოგადოება და კომიტეტები; გაძლიერდა პროპაგანდა ამათ საშუალებითა და აგრეთვე იმათ შეწევნით, რომლებიც ყოველის მხრიდამ მექაში მიდიოდნენ მრავალ ათასობით სალოცავად.

დაწყებული საქმე ფრიად კარგ იმედს იძლეოდა პირველ ხანს და ბევრიც გაკეთდებოდა მომავალში, თვით მაჰმადიანობაშივე რომ არ ეჩინა თავი სხვა ახალ მიმართულებას, რომელიც პან-ისლამიზმის მოძღვრებას შეებრძოლა და ახლაც ებრძვის. ეს ახალი მოძღვრებაც პირველად სტამბოლს გამოცხადდა საქვეყნოდ. ყველაზე ადრე ოსმალეთის მოწინავე დასმა, «ნორჩ-ოსმალთა» ლიგამ უარ-ჰყო იგი, როგორც უნიადაგო და აწინდელ დროს შეუფერებელი. აქაო-და, თუ პან-გერმანიზმი, პან-ლატინიზმი და თვით პან-სლავიზმი არსებობს, პან-ისლამიზმი რაღად არ უნდა იყოს ქვეყანაზეო და ივიწყებენ, რომ პირველ პან-იზმებს ნიადაგად ტომობრივი ნათესაობა აქვთ დადებული, რასის ერთიანობა, პან-ისლამიზმი კი სარწმუნოებრივ ერთობაზეა დამყარებული, ე. ი. ფიქციაზე. პან-ისლამიზმს უნდა კავშირის განმტკიცება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვა მაჰმადიანთა შორის, რომლებთაც ხშირად არც ტომობრივი მოდგმა აქვთ საერთო, არც ენა ენათესავებათ და გეოგრაფიულადაც განცალკევებულნი არიან. „ნორჩ-ოსმალთა“ დასი ჰქადაგებს აზიელთა შეერთებას ფედერაციებში, სხვადასხვა ტერიტორიის მიხედვით სახელმწიფოთა დაარსებას და მათს შეკავშირებას საერთო ფედერაციაში; იწვევს ყველას ერისა და რჯულის განურჩევლად. პან-აზიატიზმი და არა პან-ისლამიზმიო,—ჰქადაგებს ეს დასი. პან-ისლამიტების აზრით, მაჰმადიანობა ოსმალეთის შემხედვარე უნდა იყოს და უნდა ელოდოს, როდის აღიმართება სტამბოლში მაჰმად ფეხამბარის დროშა. პან-აზიელები კი ოსმალეთისაგან სიკეთეს არ ელიან, სანამ იქაურ თვით-მყრობელ სულთანის მთავრობას ბოლო არ მოეღება, და ჰქადაგებენ კერძო ფედერაციების დაწესებას, ერისა და რჯულის განურჩევლად, ყველგან, სადაც ტერიტორიალური ერთობა ამას ხელს უწყობს.

ამ ახალ მოძღვრებას, როგორც სჩანს, დიდი გავლენა ჰქონია და ეხლავე სასიკეთო ნაყოფი მოუტანია.

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ქაირში ახალი ლიგა დაუარსებიათ, რომელსაც დევიზად გაუხდია „არაბეთი არაბთათვის“. საზოგადოებას აზრად აქვს დაიყოლიოს მთელი არაბეთი ოსმალეთისაგან განთავისუფლებისთვის და ცალკე სახელმწიფოს დასაარსებლად, რომელსაც საკონსტიტუციო წეს-წყობილება უნდა ქონდეს. ყოველ ერს, რჯულის განურჩევლად, თანასწორი უფლება მიეცემა. სახელმწიფოს საზღვრად ექნება ტიგრი და ევფრატი, სპარსეთის ყურე, წითელი და ხმელთა-შუა ზღვა ამ საზღვრებში, არაბებს გარდა სხვა ხალხებიცაა მოყოლებული, და ლიგა ყველას თანასწორობას ჰპირდება სახელმწიფოში.

**სპარსეთი.** ამას წინად გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ სპარსეთის მთავრობამ საზღვარ-გარეთ დიდძალი ფული ისესხაო. ამ ამბავს სპარსეთის ერთმა წარმომადგენელმა თავისი განმარტება დასძინა,—ვითომც ფული სპარსეთმა იმიტომ ისესხა, რომ ახლო მომავალში შაჰი მოგზაურობას აპირებდეს ევროპაში, რაიც რასაკვირველია, დიდ ხარჯს იწვევს. მაგრამ ასეთი ახსნა არავის სჯეროდა, მით უფრო, რომ იმავ დროს ხმა დადიოდა, სპარსეთი ამ ახლო მომავალში ახალ სამხედრო იარაღის შეძენას აპირებსო. სესხის მიზეზი გამოურკვეველი დარჩა. ახლა კი ცხადათ სჩანს, თუ რაშია საქმე: სპარსეთის მთავრობას ბრძანება გაუცია ჯარის მობილიზაციაზე სამს ვილაიეტში, იმავ დროს ახალი ჯარიც გამოჰყავს: ბახტიართ თემიდან 80 ათასს კაცს იწვევს, შახსევანიდამ 90 ათასს და კაკშაიდამ 70 ათასსა. ამის თადარიგს უკვე შეუდგა აქაური მთავრობა. ამდენ ჯარის დაძვრას და დამზადებას რა მიზანი აქვს,—ამას ჯერ-ჯერობით ძლიერ ჰმალავენ.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** ურთიერთობა ჰუნგრეთისა და ავსტრიის შორის უფრო და უფრო მწვავდება. იმპერატორი ბუდაპეშტის პარლამენტში გამეფებულ ოპოზიციას არ უთმობს და არ ნიშნავს მეთაურს მინისტრთა კაბინეთის შესადგენად. ოპოზიცია თხოულობს ჰუნგრეთის და ავსტრიის საზღვარზე დამოჯნის დაწესებას, რათა საკუთარი წარმოება გააძლიეროს და ჰუნგრეთი ავსტრიის წარმოების ბატონობისაგან გაანთავისუფლოს. თხოულობს აგრეთვე ჰუნგრეთის ჯარის ადმინისტრატიულ განცალკევებას—ჰუნგრთა ჯარი ავსტრიელ გენერლების მორჩილი კი არ უნდა იყოს, არამედ ჰუნგრთა სარდლებისაო.

ჰუნგრეთის პარლამენტში აპირობენ დიდის ამბით იდღესასწაულონ ლუდვიგ კოშუტის სახელის მოგონება და 1848 წლის აჯანყება, რომელიც, როგორც ვიცით, რუსის ჯარის დახმარებით ჩააქრო ავსტრიამ. ფრანც კოშუტი, რომელიც ოპოზიციის მეთაურია, აცხადებს, თუ ვენის მთავრობამ ჯიუტობას თავი არ დაანება, ავსტრო-ჰუნგრეთის ბედი მალე გარდაწყდებაო, ჰუნგრეთი აჯანყდება და ავსტრიას ჩამოეცლებაო. აწინდელი გარემოება ძლიერ გამწვავებულია: ჰუნგრეთს ემხრობა პარლამენტის უმრავლესობა, მთავრობა კი არა ჰყავს—იმპერატორი არა ნიშნავსო.

ამბობენ, ვენის პალატაში უმრავლესობას სწადიან აწინდელ საპოლიტიკო სისტემის —უნიადაგო დუალიზმის გადაშინჯვა და დათმობა ჰუნგრეთის სასარგებლოდ, მხოლოდ სამხედრო მინისტრი ეურჩება ამას, ჯარის ერთობა დაირღვევაო. ამის სიტყვას ისეთი კილო ჰქონდა, რომ თითქო არაფერის იმედი აღარა ჰქონდეს და სამსახურისთვის თავის დანებებას აპირობდეს.

### ხმა ლეჩხუმიდან

დღეს, როდესაც მთელი ქვეყანა ფეხზე სდგას და ყოველი სულდგმული „გაზაფხულს“ ელოდება, როდესაც იმსმის მონობის „ბორკილთ მსხვრევა“, როდესაც სიცოცხლე სდუღს და გადმოდის—,ლეჩხუმის მხარე ყველა ამ სანეტარო ამბებს გულცივად უყურებს და სდუმს სამარესავით. რას მიაწეროთ ლეჩხუმის ასეთი სიჩუმე იმ დროს, როდესაც მისი მეზობლები ლეჩხუმზე წინ წასულნი ბევრით არ არიან, მაგრამ თავისს უფლებებს, თავისს ადამიანობის აღდგენას მაინცა თხოულობენ (მაგ. გურია)! ჩემის აზრით, ლეჩხუმელების სიჩუმე და თითქმის ძილად მგდება იმისი ბრალია, რომ მონობის მძიმე უღელს ისე დაუქვეითებია, ისე გასჯდომია ლეჩხუმელს შიში ძვალ-რბილში, ისე დახავსებია კაცობა რომ ამჟამად გამხმარი ქადით კვება, შიშველ-ტიტველად ბნელ სოროში გდება ბედნიერებად მიაჩნია.

ვიმეორებ: დღეს ყოველი ერი, ხალხი თუ კლასი აშკარად და უშიშრად თხოულობს სამართალს, თხოულობს ადამიანურ უფლებებს, მონობიდან განთავისუფლებას. დღეს უმრავლესობათა თავგანწირვამ ჰშვა ბრწყინვალე ისტორიული ხანა და ყველას თამამად შეუძლიან მოითხოვოს სამართალი, გაიუმჯობესოს დახავსებული ცხოვრება და გაუდგეს ახალს, თავისუფალ არსებობის გზას...

ამ დიდებულმა ხანამ ზოგიერთ ლეჩხუმელსაც ათქმევინა: ნუ ჩამოვრჩებით მეზობლებს, თანამოძმეებს, ამხანაგებს და ჩვენც მხარში ამოუდგეთ, ხმა მივსცეთო!.. მაგრამ, ვაი სირცხვილო, სილაჩრევ და ჩვენ მხარეში უადამიანობავ!.. აი რა კერძო დასკვნას დაადგა ის წრე, რომელიც ვითომდა მოწინავეა: ზოგმა სთქვა, მე სამსახურში ვარ—და არ მეკადრებაო; ზოგმა სთქვა, ჩინი მაქვს და რომ ვსთქვა რამე—ამხდიანო; ზოგმა—მე პენსია მაქვს ანუ ველი და აბა რა ჩემი საქმეაო; ზოგმა—დეპუტატ სობრანიის“ წევრი ვარ, ანუ ბანკის „უპოლნომოჩენი“ და ხმის ამოღება მეძრახვისო. უმრავლესობამ კი ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენ ყმა-მამულის პატრონივართ და როგორ გვეკადრება გლეხებთან გათანასწორებაო, და სხვა.

აი, მკითხველო, როგორ ესმის ჩვენს მოთავე კლასს დღევანდელი მოძრაობა, რა ნიჭს იჩენს და როგორი წვლილი შეაქვს საერთო ბედნიერების სალაროში. გლეხებზე რაღა უნდა მოგახსენოთ! ისინი ისე დაშინებულნი და ნდობა—და კარგულნი არიან, რასაკვირველია მეოხებით ისევ ძველ წეს-წყობილების, ღვთის წყალობაც რომ უთხრათ, მაინც რისხვა და ღალატი ჰგონიათ, არც საკვირველია, რადგან ჩვენ მიერ მრავლად მოტყუებამ და იმ გარემოებამ, რომ მათ სასარგებლოდ დღემდე არაფერი გაკეთებულა—რა—გლეხებს ყველასადმი ნდობა დაუკარგა.

ვინ იცის, იქნება ლეჩხუმის საზოგადოება ფიქრობს, რაც მოსასვლელია—უჩვენოდაც მოვა და რაც გასაკეთებელია უჩვენოთაც გაკეთდებაო! თუმცა დღეს საქართველო პოლიტიკურად კი შეადგენს რუსეთის ერთს ნაწილს და მოსალოდნელიცაა (ზოგიერთებისათვის) რომ, რა ცვლილებაც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოხდება, ის ჩვენც მოგვეცეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება წარსული პოლიტიკანობა, დაპირებანი და დავრწმუნდებით, რომ მომავალშიაც ის ბედი მოგველის, რაც წარსულში გამოვიარეთ თუ დღეს ჩვენი საერო საჭიროებანი არ გავითვალისწინეთ, ჩვენი აწეწ-დაწეწილ, დახურდავებულ ხალხ-მხარეებს არ შევაერთებთ და შეერთებულის ძალით არ დავიბრუნებთ იმას, რაც ჩვენის სიბრიყვით დაგვიკარგავს. თუ კიდევ დედინაცვალს მივანდეთ ჩვენი ოჯახის გაუმჯობესობის საქმე—ისევ იმ უნარს გამოიჩენს, რაც დღეს დაღად გვასვია და არა თუ ჩვენ, მგონია, თავისს ღვიძლ შვილებსაც არ დააყაროს ხეირი.

ამისთვის დროა, რომ მივხედოთ ჩვენ საქმეებს, შევერთდეთ და ისე მოვითხოვოთ სამართალი, თორემ იმ ერთი საარაკო ღარიბივით დაგვემართება:

— მადლობა ღმერთს, დიდი გვალვის შემდეგ კარგი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და ჰირნახულს ძალიან მოუხდებაო, სთქვა სიამოვნებით ღარიბმა.

— ბეჩავო, შენ რა გახარებს, შენს ჰირნახულს ერთი ცვარიც არ დაეცემაო,—მიუგო მეორემ.

ამისი არ იყოს, ჩემო ძმებო და ამხანაგნო ლეჩხუმელნო, დროა ბნელ-დახავსებულ სოროდან გამოვძვრეთ და ნათელ, სანეტარო ცხოვრებას შევუდგეთ, თორემ ჩვენს ჰირნახულს ერთი ცვარი ნამიც არ დაეცემა...

ლ. დადეშკელიანი.

## კორესპონდენცია

**ფოთი.** სიცოცხლის მომასწავებელმა სიომ ფოთელი ვაჭრებიც გულის ხმაში ჩაკვდო. ეხლა დუქნების გაღება და დაკეტვის დროც, რაზედაც მუდამ უთანხმოება და გაუთავებელი ლაპარაკი იყო ხალხში—განისაზღვრა.

საერთოდ მიღებულის კანონის ძალით სავაჭრო დუქნები და ყოველგვარი სახელოსნოები კვირა-უქმე დღეებით დაკეტილი უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი გაუმაძღარი ვაჭარი მაინც თავისას არ იშლის და ვერც მოუთმენია, რომ დუქნების კარები ცოტათი მაინც არ გამოაღოს და თავისებურად არ გამოიჭვრიტოს.

ეს ერთი ხანია, ფოთში თავდასხმამ და მარცვა-გლეჯამ იკლო, მაგრამ საუბედუროდ ეხლა ისევ იჩინა თავი. 21 თებერვალს, შუა დღისას, სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს, ნ. ზ. ზოდოტინოვს, რომელსაც ადგილობრივ ხაზინიდან მასწავლებლების ჯამაგირი მიჰქონდა სასწავლებელში, სომხების ქუჩაზე, პოლიცმეისტერის სახლის მახლობლად, თავს დაესხა ორი ბერდანის თოფებით შეიარაღებული კაცი. ავაზაკებმა მასწავლებელს 750 მანათი გამოსტაცეს, ერთი ორი მაგარი სილა გაწნეს და თავიანთ გზას გაუდგნენ. საბრალო მასწავლებლები პირში ჩალა გამოვლებულნი დარჩნენ და მეორე „ღვამდის“ გროშკაპეიკსაც ვერ ეღირსებიან...

ასამდე ყაზახები აქაც არიან დაბანაკებულნი და ყოველგვარ ღონის ძიებას ხმარობენ „მშვიდობიანობის“ დასაცველად: მთელ ქალაქში თავისუფლად დათარეშობენ და ვინ იცის, რა ოინებს არ სჩადიან. ამას წინად მუშების უბნებში შეცვივდნენ და თავიანთ მათრახებით ბევრს დაუწეწეს ტყავ-ხორცი.

ვერც გაზეთებსა ვღებულობთ თავის დროზე. მატარებლის ახალის წესით მიმოსვლის თანახმად, ფოსტას აქ $1\frac{1}{2}$ საათზე ვღებულობთ. ჩვენ კი, თუ თითონ არ მივედით გაზეთის მიღება შეიძლება მთელ დღესაც არ გვეღირსოს. ამიტომ ფოსტაში მუდამ აუარებელი ხალხი იყრის თავს და ერთი ხმაურობა და ვაი-ვაგლახი არის ხოლმე გამართული.

კარგი იქნება, რომ ფოსტის უფროსმა იკადროს საქმის მოწესრიგება.

სე—ონ ზენობნელი.

## ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 მარტი

**ტოკიო**, 1 მარტი. მიკადოს განკარგულებით, ტყვედ წაყვანილ რუს ექიმებს ნება მიეცათ ტყვე რუსებს უექიმონ. რადგანაც იაპონიას თავისი ექიმები მანჯურიაში ჰყავს დაჭრილთა მოსავლელად, ამიტომ რუსის ექიმებს ჯამაგირი იაპონიის მთავრობისაგან მიეცემა. გაზეთი „კოკუმინი“ ამბობს, რომ დაიწყო ომის მესამე ხანა, ხოლო სამშვიდობო მოლაპარაკების წუთი კი არ ახლოვდება, ვინაიდან რუსეთს გადაწყვეტილი აქვს ომი განაგრძოს. რუსეთის განცხადება ახალი ლაშქრის გაგზავნის შესახებ ბალტიის ესკადრის გაგზავნის ამბავს მოგვაგონებსო.

**ლონდონი**, 1 მარ. „ცენტრალ ნიუსის“ სააგენტოს შეუტყვია, რომ იაპონიასთან სამშვიდობო ლაპარაკის დაწყებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ალბად იაპონია დიდ კონტრიბუციას მოითხოვსო. ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ კონტრიბუციად დადგენილი იყო 100 მილ. გირ. სტერლინგი, ახლა კი იაპონიას სურს მიიღოს 150 მილ. გირ. სტერლინგი. ვინიცობაა მალე შესწყდა ომი, იაპონია უფრო ნაკლებს დასთანხმდება. ამბობენ, საფრანგეთი მზადაა, რუსეთს საჭირო ფული უშოვოს.

**კანეა**, 1 მარ. ბალტიის მესამე ესკადრაში ყოველივე რიგზეა.

**პარიჟი**, 1 მარ. გავლენიანი დიპლომატები ამტკიცებენ, იაპონელები ფიქრობენ ჩინეთის ახლანდელი სამეფო გვარეულობა დაამხონ და მის ნაცვლად იმპერატორად გამოაცხადონ ლიხუნჩანგის მოადგილე, პეჩილიის ვიცე-კოროლი იუანშიკაი. იუანშიკაი ყველაზე გონიერი და გავლენიანი კაცია ცის ქვეშეთის იმპერიაში. რუსი ტყვეები მალე გაიგზავნებიან დალნით იაპონიაში.

**ტელინი**, 1 მარ. იაპონელებმა იერიში მიიტანეს ტელინის სიმაგრეებზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ დიდის ზარალით.

**ტოკიო**, 28 თებ. რუსები ძალიან ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონელებს მუკდენის ჩრდილოეთად 25 მილის მანძილზე. ჰფიქრობენ, ბრძოლის ველზე რუსებს ჰყავდათ 300.000 ქვეითი ჯარი, 26,000 კავალერია და 20,000 არტილერია, 1,360 ზარბაზნით. თანხმად ახლად მოსულ ცნობებისა იაპონელების დანაკლისის შესახებ, მოკლულია 141 და დაჭრილია 752 აფიცერი. იაპონელები გასაკვირველად მალე მიდიან ჩრდილოეთისკენ. რუსების მარცხენა ფრთამ ფუშანისაკენ დიდხანს შეაჩერა იაპონელები და მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა კუროპატკინის ლაშქარი, თორემ იაპონელები ალყას შემოარტყამდნენ. უკვე ვიცით, რომ იაპონელების რაზმი ჩრდილოეთისკენ ასულიყო კიდეც, როდესაც რუსები უკუსვლისთვის ემზადებოდნენ; ხოლო გადაწყვეტით არ ითქმის, რავდენად ძლიერი იყო ეს რაზმი და შეეძლო გადაყლება თუ არა. დღეს მოსულს ცნობებით, საფიქრებელია, რომ რუსები მომწყვდეულნი არიან, თუმცა მაინც ჩრდილოეთისკენ მიიწევენ. რუსების უკუქცევის დროს მრავალი დაიხოცა. რავდენიმე ტყვე მოიყვანეს კიდეც იაპონიაში. დაჭრილებიც გემებით მოჰყავთ.

სეულში შეთქმულობა აღმოაჩინეს. განუზრახავთ იმპერატორს ძალა დაატანონ, რომ იაპონიის ხელშეკრულობა უარჰყოს და უცხოელთა საელჩოში შეაფაროს თავი. შეთქმულნი დაუპატიმრებიათ. იმათ გენერალ ხასეგავას მოკვლაც სდომებიათ.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1 მარტის თარიღით: იაპონელებმა დღეს გაშმაგებული იერიში მოიტანეს ჩვენს ცენტრზე მდინარე ფარხესთან, მაგრამ მოვიგერეთ. 1000 იაპონელის გვამია ჩვენი პოზიციის მახლობლად.

**პარიჟი**, 1 მარტი. აქაური დიპლომატები ჰფიქრობენ, შესაძლოა, ომი კიდევ გაგძელდესო. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტისათვის უთქვამს ერთ დიპლომატს, ის სახელმწიფო, რომლის სამფლობელო ომის დროს მტერმა ვერ დაიჭირა, კონტრიბუციას არ გადიხდისო. საღამოს გაზეთები ამბობენ, რუსეთში ახალი მობილიზაცია იქნებაო.

**პარიჟი**, 1 მარტი. ემირის ბძანებით, ავღანისტანის, თოფ-ხანები ახალ იარაღის მზადებას შეუდგნენ რუსულ იარაღის ნიმუშებით.

**დვინსკი**, 1 მარტი. დღეს შუა-ქალაქში ბოქაულის თანაშემწეს ერემინს რევოლვერი ესროლეს და თავში დასჭრეს. დამნაშავე დაპატიმრებულია.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში დელკასემ განაცხადა, ისპანიის მეფე მაისის ნახევარში აპირობს პარიჟში მოსვლასო. კოლონიათა მინისტრი ინდო-ჩინეთს მოივლის აგვისტოში. თან გენერალი ვუარონი გაჰყვება.

**ვაშინგტონი.** კარაკაზიდან დეპეშა მოვიდა, პრეზიდენტ კასტრომ ბძანება გასცა, ვენესუელისა და საფრანგეთის სატელეგრაფო კომპანიის ხელშეკრულობა მოისპოს და კომპანიის ქონება სახაზინოდ ჩაირიცხოსო. მთავრობამ გადასწყვიტა კაბელი გადასჭრას ლაგუაირის აღმოსავლეთ-დასავლეთით, რომ რევოლუციონერებმა ერთმანეთს აღარა შეატყობინონ-რა.

**სტამბოლი.** ხონთქრის ადიუტანტები ახმედ-ფაშა და რიზა-ფაშა ნათესავებითურთ ეგვიპტეს გაიპარნენ. ამ ამბავმა იილდიზი დიდად შეაფიქრანა, რადგან ჰგონიათ, ლტოლვილებმა საიდუმლო ქაღალდები წაიღეს, რომლებსაც ფადიშაჰისთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო.

**მინსკი**, 1 მარტი. ქალაქის საბჭომ კომისია აარჩია, რომელმაც, ხალხის ყოველ წოდებათა წარმომადგენლებთან ერთად, უნდა შეამუშაოს შუამდგომლობა თანხმად 18 თებერვლის უმაღლეს მანიფესტისა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**, 1 მარტი. საბჭოს სთხოვენ იშუამდგომლოს სწავლის დაწყების შესახებ მაღალ სასწავლებლებში და სკოლებთან მშობელთა რჩევის დაარსების შესახებ.

**როსტოვი დონზე**, 1 მარტი. მოქალაქეებმა შუამდგომლობა აღძრეს მამასახლისების კრება მოხდეს მარტსა ან აპრილში მოქალაქეთა თვითმართველობის რეფორმის შესამუშავებლად.

**პარიჟი**, 1 მარტი. პრალმდებლის სიტყვის შემდეგ დრეიფუსის საქმის გამო საკასაციო სასამართლომ ბოფერატ ბეუმს მაინცა მოხსენება შეადგენინოს.

**პეტერბურგი**, 2 მარტი. ბეჭდვითი საქმის საბჭოს მსჯელობა ჰქონდა, შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება აკრძალოს გაზეთებს სახელმწიფოსთვის დიდმნიშვნელოვან საკითხთა შესახებ ლაპარაკი, თუ არა. საბჭოს ორი საკითხი ჰქონდა გამოსარკვევი — ამ უფლების გაუქმება და გერმანულ კანონის შემოღება, რომლითაც ომიანობის და სხვათა დროს შესაძლოა ბეჭდვითი თავისუფლება შეიზღუდოს, და ამ უფლების დაკანონება ხოლო იმ პირობით კი, რომ ერთს მინისტრს კი არა, მინისტრთა კომიტეტს ჰქონდეს [illegible] და დამნაშავე ისჯებოდეს [illegible]. პირველ აზრის მომხრე 11 აღმოჩნდა, მეორისა-კი 9. ორმა წევრმა განსაკუთრებული [illegible].

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი ალ. სარაჯიშვილი.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3) ნაშუადღევის 3 ს. 03 წ (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ (7 ს. 18 წ.)

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შჩერბინა.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქ 1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

**ტფილისში:**

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8


## განცხადებანი

ახლად გახსნილი

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)

იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდრის ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.




ელექტრონითმბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.